ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 20 აპრილი, 2018 №92 (7637) ფასი: 50 თეთრი

**თბილისში დიმიტრი ჭრელაშვილი და კახა ბეჟიტაშვილი დააკავეს, კახეთში — გივი ბეგიაშვილი**


გვ.7

მათ ევროპაში მყოფ კანონიერ ქურდებთან კავშირი ედებათ ბრალად

**19 აპრილიდან 120 ამბავი ალექსანდრე მაკედონელი**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




# ზაზა პაპუაშვილი ბიძინა ივანიშვილზე: „ბელადები და ყოჩები არ გვჭირდება“


გვ.4

## დავით ქიქინაძე: „გია ვოლსკი დაგვიბერდა“


გვ.2



## გედევან ფოფხაძე: „ბიძინა ივანიშვილს უმრავლესობის სხდომაზე არ ველოდები“


გვ.3

## ზაზა სარალიძე: „პროკურორ ფხაკაძეს ვკითხე, რატომ არ იყო მიხეილ კალანდია დაკავებული“


გვ.2

რის გარკვევა სურდა შვილმკვდარ მამას პროკურორებთან

**„დაე, იყოს ჩემი შვილი მსხვერპლი, ოღონდ სხვის შვილებს ნუღარ მოკლავენ“**

## „დასავლეთმა ივანიშვილს ბრძოლა გამოუცხადა“


გვ.3

ბეჟან ნათელაშვილი: „რუსმა ოლიგარქმა საქართველო საზომბეთად აქცია“

**სამართალი** გვ.7



**დიანა ბერიძის მკვლელ ქირურგს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა**



**სუს-მა შპს „მოხელეს“ დირექტორი და დამფუძნებელი თემურ ფ. დააკავა**


გვ.4

**ლევან ჩაჩუა: „კვირიკაშვილის სანათესაოს ისე არ მიუქარავს, როგორც ღარიბაშვილისას და ამიტომაც არ გადადგა“**

**ეკონომიკა** გვ.6

**მიხეილ ჯიბუტი: „ქვეყანას ერთ სისტემაში მოქცეული ეკონომიკური პოლიტიკა და სტრატეგია არ გააჩნია“**



**„კომერციულმა ბანკებმა საცალო სესხების სეგმენტიდან აქცენტი ბიზნესსესხებზე უნდა გააკეთონ“**



**პარლამენტმა პოლიტიკური სუბიექტების დაფინანსების წესი შეცვალა**



ISSN 1987-9385

5 აზარტული თამაშების ბრუნვამ 5 მილიარდს გადააჭარბა — ბიუჯეტს კი აქედან მხოლოდ 5,8% ერგო

4 „კახა, ნუ გვაბოლებ!“ — აქცია თბილისის მერიასთან

5 რას შეცვლის ბაზარზე ფინანსთა მინისტრის ინიციატივა

7 რუსთავში ბარიდან 1 კასრი ლუდი მოიპარეს

# ზაზა სარალიძე: „პროკურორ ფხაკაძეს ვკითხე, რატომ არ იყო მიხეილ კალანდია დაკავებული“

## რის გარკვევა სურდა შვილმკვდარ მამას პროკურორებთან

შორენა მარსაგიშვილი

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მირზა სუბელიანი პროკურატურას სკანდალური კადრების გასაჯაროებით ემუქრება. საუბარია ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრებზე, რასაც „ოცნება“ წლებია, უარყოფს.

კუპრავა იმ სატელეფონო საუბრებსაც შეეხო, რომლებიც მას და მირზა სუბელიანის სიმამრს შორის შედგა. ამ საუბარში კადრების გადაცემაზეა საუბარი.

ამ ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ პროკურატურამ ზვიად კუპრავა გამოკითხვაზე დაიბარა. გამოკითხვა გუშინ, 19 აპრილს, შედგა.

პროკურატურასთან მისთვის სოლიდარობის გამოსახატავად მივიდა ხორავას ქუჩაზე მოკლული დათო სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე. ის და კუპრავა მეგობრები არიან.



პროკურატურასთან მისულმა შვილმკვდარმა მამამ გადაწყვიტა, ხორავას საქმის პროკურორიც ენახა და რაღაც დეტალები გაერკვია. მისი და პროკურორების შეხვედრა ხმაურიანად დასრულდა.

რა პრეტენზიები წაუყენეს შვილმოკლულ მამას, რას აპირებს ის მომავალში და რას ითხოვს გამოძიებისგან? – ამის შესახებ ზაზა სარალიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ზაზა სარალიძე:**

– 19 აპრილს ჩემი მეგობარი ზვიად კუპრავა პროკურატურაში იყო გამოკითხვაზე დაბარებული. იქ მისთვის სოლიდარობის გამოსახატავად მეც მივედი. ზვიადი საქმის ჭეშმარიტად გამოძიებაში მეხმარება. ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ მას გაუთქმელობაზე მოაწერინეს ხელი და მედიასთან ურთიერთობა შეუზღუდეს. ამით ისინი ვერც ზვიადს გააჩერებენ, ვერც მე და ვერც – მედიას.

ის ტრაგედია, რომელიც ხორავას ქუჩაზე დატრიალდა, მხოლოდ ჩემი ოჯახის ტრაგედია არ არის. ამ სასტიკი მკვლელობის შემდეგ საქართველოში ისევ გრძელდება მკვლელობები. ხოცავენ არასრულწლოვნებსაც და სრულწლოვნებსაც. ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომია. დაე, იყოს ჩემი შვილი მსხვერპლი, ოღონდ მომავალში აღარავინ მოკლან.

### „დაე, იყოს ჩემი შვილი მსხვერპლი, ოღონდ სხვის შვილებს ნუღარ მოკლავენ“

რადგან პროკურატურასთან ვიყავი მისული, მოვითხოვე ჩემი საქმის პროკურორ ზვიად ფხაკაძესთან შეხვედრა. მასთან რაღაცის გარკვევა მინდოდა.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, რის გარკვევას აპირებდით?***

– რამდენიმე კითხვა მქონდა. კერძოდ, მაინტერესებდა, რატომ არ იყო მიხეილ კალანდია დაკავებული. ამ შემთხვევაში ხორავას ქუჩაზე მომხდარი ინციდენტი არ მქონდა მხედველობაში. ამაზე როცა ვსვამ კითხვას, მეუბნებიან, რომ საქმე ძიებაშია.

ამჯერად კითხვა კალანდიას მიერ ჩვენების შეცვლაზე დავსვი. მიმდინარე წლის 11 აპრილს სასამართლო პროცესზე დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ წინასაგამოძიებო ჩვენებების, კერძოდ, გასული წლის 3 დეკემბერს მიცემული ჩვენების დროს მასზე განხორციელდა ზეწოლა.

***– თქვა, ვინ განახორციელა ზეწოლა? ან რა ზეწოლაზე იყო საუბარი?***

– მისი თქმით, ძალოვნები აგინებდნენ და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ისიც თქვა, რომ მამამისი ცემეს და რაღაც ფაქტებით აშანტაჟებდნენ. როგორც კალანდიამ სასამართლოზე განაცხადა, მისგან ძალოვნები მათთვის სასურველი ჩვენების მიცემას ითხოვდნენ.

13 აპრილს, როდესაც განახლდა მისი დაკითხვის პროცესი, სანამ კითხვებს დაუსვამდნენ, თავად წამოდგა და განცხადება გააკეთა. მან სასამართლოს მოახსენა, რომ ის, რაც 11 აპრილს თქვა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა. დაისვა კითხვა, რატომ თქვა ტყუილი სასამართლოზე, უპასუხა, ჩემი მეგობრების დაცვა მინდოდაო.

***– მეგობრები როგორ უნდა დაეცვა?***

– გამოძიების ჩიხში შეყვანით, თავად ასე თქვა. 11 აპრილს თუ თავისი მეგობრების დახმარება სურდა, 13 აპრილს რატომ გადაწყვიტა ჩემი შვილის დახმარება? 2 დღით ადრე თუ ბრალდების წინააღმდეგ აძლევდა ჩვენებას, 2 დღის შემდეგ რატომ დადგა მათ გვერდით? აშკარაა, მასზე ვიღაცამ ზეწოლა განახორციელა.

იმ დღეებში მედიაშიც გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასზე ზეწოლა მირზა სუბელიანმა განახორციელა. გაზეთ „ვერსიას“ სარწმუნო წყარომ მიაწოდა ინფორმაცია, რომ სუბელიანი მათთან სახლში იყო მისული. ეს უკანასკნელი მიხეილ კალანდიას დეიდის ქმარია.

მედიაში წერდნენ, რომ კალანდიების სახლში დიდი შეხლა-შემოხლა იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც განახორციელეს მასზე ზეწოლა და მანაც 13 აპრილს შეცვალა ჩვენება.

მოსამართლემ დაუსვა კითხვა, თქვენი რომელი ჩვენებაა სარწმუნოო. ამაზე კალანდიამ უთხრა, დღეს რასაც ვიტყვი, ისო. ამაზე მოსამართლემ ასეთი რამ განაცხადა: სამწუხაროდ, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის, პროკურორები აქ არიან და ისინი მოუძებნიან სამართლებრივ ფორმასო. საგამოძიებო უწყებას, სამწუხაროდ, არანაირი სამართლებრივი ფორმა არ მიუცია ამისთვის. მიხეილ კალანდია ისევ გარეთ დადის. ჩვენების შეცვლა სისხლის სამართლის დანაშაულია, თუმცა ჩვენი პროკურატურა თურმე ასე არ ფიქრობს.



აი, ამის გასარკვევად შევედი ჩემი საქმის პროკურორთან, მაინტერესებდა, რატომ არ დააკავეს კალანდია ჩვენების შეცვლის გამო. ჩემმა კითხვამ პროკურორი ზვიად ფხაკაძე გააღიზიანა, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, თავიდან მითხრა, ამ კითხვას რომ სვამ, რა იცი, დაკავებული რომ არ არისო. ეს რომ მითხრა, გამიხარდა და ვიფიქრე, რომ ეს ხალხი გონს მოსულა. ფხაკაძემ იქვე დამიკონკრეტა, დაკავებული არ არის, თავდებითაა გამოსული და მისი საქმე ძიებაშიაო.

ამაზე გავბრაზდი და ვუთხარი, რაა ძიებაში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი რომ ძიებაშია, ვიცი, მაგრამ მე მაინტერესებს, რატომ არ არის დაკავებული კალანდია ჩვენების შეცვლის გამო-მეთქი. პროკურორისგან იგივე პასუხი მივიღე – საქმე ძიებაშიაო.

ამაზე მწვავე რეაქცია მქონდა. ამ რეაქციამ ოთახში მყოფი პროკურორები გააღიზიანა.

***– სხვა პროკურორებიც ესწრებოდნენ თქვენი და ფხაკაძის შეხვედრას?***

– დიახ. ოთახში იყო კიდევ ერთი პროკურორი, ინა გუგუშვილი. მან მითხრა, შენ საეჭვოდ ლაპარაკობო. მოვთხოვე დაეკონკრეტებინა, რით გამოიხატებოდა ჩემი საეჭვო ლაპარაკი. მითხრა, რასაც დაცვის მხარე ლაპარაკობს, იმას ლაპარაკობ შენცო ანუ წინასწარ ხართ მოლაპარაკებულიო.

ამაზე სულ გადავირიე და პროკურორებს მივმართე, თქვენ ნორმალურები თუ ხართ-მეთქი. რა გამოდის, ჩემი შვილის ორი მკვლელი ქუჩაში თავისუფლად დადის და ვიღაც მაძალებს იმის თქმას, რომ დამნაშავეები დაიჭირონ? ვუთხარი, რომ ისინიც დამნაშავეები იყვნენ.

ამის შემდეგ წამოვედი. ოთახიდან გამოსვლისას მივბრუნდი და დავამატე, სანამ დროა, გონს მოეგეთ-მეთქი. იქ მყოფმა კიდევ ერთმა პროკურორმა, რომლის გვარიც არ ვიცი, ასე მომმართა, შენ რამდენს და რა ხმამაღლა ყვირიხარო.

ვუთხარი, რას ჰქვია, ვყვირივარ? რას მიზამთ ამის გამო? თუ გინდათ, დამიჭირეთ, თუ გინდათ, მომკალით. დაჭერის შემთხვევაში თავად გავაგრძელებ ამ საქმეს, სიკვდილის შემთხვევაში ვიღაც გამოჩნდება და ის მიიყვანს ამას ბოლომდე. ისიც დავამატე, მართალია, რაღაცებს ხლართავთ, მაგრამ დრო მოვა და ყველაფერი სააშკარაოზე გამოვა-მეთქი.

ვურჩიე, გირჩევნიათ, თავად გამოიტანოთ ყველაფერი სააშკარაოზე, სანამ თავად დამიწყია სამართლის აღსრულება არასამართლებრივი გზებით-მეთქი. ეს იყო ჩემი ბოლო სიტყვები და წამოვედი.

***– წამოსვლის შემდეგ პროკურატურიდან არ შეგხმიანებიან?***

– ვინ გაბედავდა დარეკვას? არავის დაურეკავს.

***– მე ბოდიშის მოხდის მიზნით დარეკვა მქონდა მხედველობაში.***

– რას ლაპარაკობთ, რა ბოდიში, იქით ახდენენ ზეწოლას. აქვე მინდა გამოვეხმაურო თბილისის მთავარ პროკურორ მალხაზ კაპანაძის განცხადებას, რომელმაც თქვა, რომ მანიპულირება ხდება დაზარალებულებით.

მივმართავ კაპანაძეს, დიახ, ხდება მანიპულირება, თქვენი უწყება ახორციელებს ამას და აქეთ მთხოვენ გამოძიების ჩატარებას.

ეს საქმე მაინც გაიხსნება და მკვლელებიც დაისჯებიან. იმედი მაქვს, საზოგადოება გვერდში დამიდგება. აქამდე ჩემი მეგობრები სასამართლოზეც კი არ მიმყავდა. ჩემი შვილის მეგობრებსაც ვუკრძალავდი იქ მოსვლას. ძალიან აგრესიულად არიან განწყობილი და არ მინდა, იქ კიდევ რაიმე უბედურება დატრიალდეს.

ახლა მარტო აღარ ვიქნები, საზოგადოებასაც ვთხოვ გვერდში დადგომას. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვითხოვ, რომ ჩემი შვილის მკვლელები ციხეში წავიდნენ. საზოგადოებამ იმიტომ უნდა იაქტიუროს, რომ ასეთი დანაშაული აღარ მოხდეს. უკვე გითხარით, დაე, იყოს ჩემი შვილი მსხვერპლი, ოღონდ სხვის შვილებს ნუღარ მოკლავენ.

# დავით ჭიჭინაძე: „გია ვოლსკი დაგვიბერდა“

შორენა მარსაგიშვილი

ისნის მაჟორიტარი დეპუტატი, დავით ჭიჭინაძე, „ქართული ოცნების“ სერიოზულ თავისტკივილად იქცა. აქამდე თუ მას მმართველი გუნდის ახალგაზრდულ ფრთაზე მიჰქონდა იერიში, ახლა „ოცნების“ ძველ გვარდიასაც დაუპირისპირდა. მისი რისხვა პარლამენტის ვიცესპიკერ გია ვოლსკის დაატყდა თავს. ჭიჭინაძემ კოლეგას ასაკი დაუწუნა.

მათი დაპირისპირების მიზეზი ვანო ზარდიაშვილი გახდა. ისნის მაჟორიტარი ამ პიროვნებას ვერ იტანს. მას გულზე არც სპიკერატი ეხატება და ამ დღეებში თქვა, რომ პარლამენტს „კოლექტიური ზარდიაშვილები“ მართავენ.



ვოლსკი, როგორც ვიცესპიკერი, ამ შეფასებით შეურაცხყოფილი დარჩა და კოლეგის განცხადებას არაკორექტული უწოდა. ამ შეფასებამ უკვე ჭიჭინაძეს აგრძნობინა თავი შეურაცხყოფილად და მას სულ ბებერი მგელი ეძახა.

– ალბათ, კიპლინგის მაუგლი ყველას ნანახი გაქვთ, სადაც მგელია, რომელიც ნანადირევს რომ ვერ დაიჭერს, შემდეგ კრებას ატარებენ და იძახიან, აკილამ ააცილაო, აკილამ ვერ დაიჭირაო. ეტყობა, გია დაგვიბერდა და ვეღარ გრძნობს იმას, რა არის კორექტული და რა – არაკორექტული. „ქართული ოცნება“ ზარდიაშვილებისთვის არ შექმნილა. ხანდახან უნდა დაფიქრდეს, ჭიჭინაძესა და ზარდიაშვილს შორის შედარებას რომ აკეთებს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დავით ჭიჭინაძემ.

ვოლსკის მკაცროვანობით შეწუხებული დეპუტატი არც თავად არის უასაკო და ვიცესპიკერზე მხოლოდ 8 წლით არის პატარა.

ვიცესპიკერს „ქართული ოცნების“ სკანდალური დეპუტატი, მარადჟამს ზეთის ფასზე მოლაპარაკე გუგული მაღრაძე გამოესარჩლა. აღსანიშნავია, რომ წლების წინ ის და ასაკოვანთა რისხვა ჭიჭინაძე ერთ პარტიაში იყვნენ. მაღრაძე ამბობს, რომ ასაკზე ყურადღების გამახვილება არ ღირს და

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გედევან ფოფხაძე: „ბიძინა ივანიშვილს უმრავლესობის სხდომაზე არ ველოდები“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **გედევან ფოფხაძე**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით არსებულ ვითარებასა და უმრავლესობის სხდომის გადადებაზე საუბრობს.

***— ბატონო გედევან, საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა გადაიდო. თქვენ ხედავთ ამაში პრობლემას? როგორც ითქვა, სხდომა შეიძლება შაბათს გაიმართოს.***

— სხდომის გადადებაში მე პრობლემას ვერ ვხედავ. მთავარია, სხდომა გაიმართოს და კარგად ორგანიზებული იყოს. სხდომა ორიენტირებული უნდა იყოს შედეგზე. ისე, უმრავლესობის ფორმატში ჩვენ ხშირად ვიკრიბებით და ამის პრობლემა არ არის. მე მაინტერესებს სხდომის დღის წესრიგი, აქცენტები და თუ რაზე იქნება სხდომა ორიენტირებული. ამდენად, როდის ჩატარდება სხდომა, ერთი დღით ადრე თუ ერთი დღით გვიან, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

***— პრობლემატური საკითხები იქნება განხილული?***

— დეპუტატებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ ყველამ გააჟღეროს თავისი პრობლემა. რატომ შეიქმნა ეს პრობლემები — კომუნიკაციის არქონის გამო შეიქმნა ეს პრობლემები. გარდა ამისა, საერთო ფორმატზე უნდა ვისაუბროთ, თუ როგორ უნდა მოხდეს უმრავლესობის შიგნით გადაწყვეტილების მიღება. რა მექანიზმები უნდა არსებობდეს ამისთვის, რომ განსხვავებული აზრის მქონე დეპუტატებს მიეცეთ შესაძლებლობა, თავიანთი პოზიცია დააფიქსირონ და, თუ საჭირო იქნება, გაასაჯაროონ კიდეც ეს პოზიცია.

***— როგორ წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა მოხდეს ეს, თქვენ რას შესთავაზებთ ამ სხდომაზე უმრავლესობის ლიდერებს?***

— მე ამ სხდომაზე დავაყენებ საკითხს სარეიტინგო კენჭისყრების შემოღებასთან დაკავშირებით იმ საკითხებზე, რომლებზეც აზრთა სხვადასხვაობაა უმრავლესობაში. ეს უნდა იყოს სავალდებულო. მე აქამდეც ვთავაზობდი უმრავლესობას ამას. სარეიტინგო კენჭისყრების პრაქტიკა უმრავლესობის შიგნით იშვიათად გვაქვს, თითქმის არ გვქონია. ამის აუცილებლობა არის, მაგალითად, როდესაც შემოდის კანონპროექტი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ასეთი იყო გენდერულ საკითხთან დაკავშირებით.

თუ მოხდება მსგავს საკითხებზე წინასწარი კენჭისყრა და ვნახავთ, რომ უმრავლესობის შიგნით პოზიცია ვერ ჯერდება, მაშინ ეს საკითხი საერთოდ არ გავა სესიაზე და კენჭისყრაზე არ დადგება ან თავისუფალი კენჭისყრის რეჟიმზე იქნება გატანილი. ეს ყველაფერი პროცედურულად უნდა გაიწეროს.

ბევრი სხვა საკითხია, რომლებიც ასევე უნდა გაიწეროს. მაგალითად, დეპუტატს, რომელსაც განსხვავებული პოზიცია აქვს, უნდა მიეცეს საშუალება, თავისი სიმართლე დაამტკიცოს. მაგალითად, სასამართლო კოლეგიაზეც კი ფიქსირდება მოსამართლის განსხვავებული აზრი, რომელიც კოლეგიის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. პარლამენტსაც უნდა ჰქონდეს ეს შესაძლებლობა ცალკეულ შემთხვევებში, დეპუტატმა



თავისი განსხვავებული აზრის გასაჯაროება უნდა შეძლოს. უნდა შეეძლოს მას იმ არგუმენტების წარმოჩენა, რომლებიც აქვს.

***— არაოფიციალურ დონეზე დეპუტატებს შორის ამ საკითხებზე არის საუბარი?***

— დიდი ხნის წინაც მქონდა ამაზე საუბარი, მაგრამ ვერ შევთანხმდით. ახლა ამ შეხვედრაზეც წამოვაყენებ ამ საკითხებს. მეორე მხრივ კი შეიძლება დააყენონ საკითხი იმ ვალდებულებებზე, რომლებიც ნებისმიერმა დეპუტატმა უნდა შეასრულოს, რაც რეგლამენტით არის განსაზღვრული. ეს იქნება დამატებითი შეთანხმების საგანი, რადგან ყველაზე დიდი ვალდებულება, რომელიც დეპუტატს აქვს, არის ვალდებულება ხალხისა და ქვეყნის წინაშე. ეს ვალდებულება პოლიტიკური ვალდებულებით არ უნდა გადაიფაროს.

***— რას გულისხმობთ პოლიტიკურ ვალდებულებაში, გარკვეული კანონპროექტის გატანას?***

— კანონპროექტის გატანას ვერავის დავუშლით. ის შეეცდება უმრავლესობის რეჟიმში მხარდაჭერის მოპოვებას, მაგრამ არის რაღაც საკითხები, რომლებსაც უმრავლესობა არ ეთანხმება, ამიტომ წინასწარი კონსულტაციები უნდა არსებობდეს და ეს ყველაფერი უნდა გაიწეროს.

***— თქვენ თქვით, რომ ივანიშვილი არის ის ფიგურა, ის ლიდერი, რომლის ავტორიტეტიც თქვენ მიერ იქნებოდა გათვალისწინებული. რას გულისხმობდით, უფრო კონკრეტულად რომ მითხრათ და ელოდებით სხდომაზე ბიძინა ივანიშვილს?***

— ბიძინა ივანიშვილს ამ კონკრეტულ სხდომაზე მე არ ველოდები. არ ველოდები მისგან რამე სახის დამატებით ჩარევასა და კონკრეტულ მონაწილეობას. ეს არის ჩვენი საშინაო საკითხი და ერთმანეთში უნდა მოვილაპარაკოთ. თუმცა, ბატონ ბიძინას აქვს სერიოზული პოლიტიკური ავტორიტეტი და სერიოზული კაპიტალი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრიზისულ სიტუაციებში. ამ ეტაპზე მე ვერ ვხედავ ასეთ კრიზისს, მაგრამ, ზოგადად, მისი მონაწილეობა საჭიროების შემთხვევაში პროცესის პოზიტიური განვითარებისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

# „დასავლეთმა ივანიშვილს ბრძოლა გამოუცხადა“

## ბეჟან ნათელაშვილი: „რუსმა ოლიგარქმა საქართველო საზომბეთად აქცია“

შორენა მარსაგიშვილი

როგორ აპირებს დასავლეთის მოტყუებას ივანიშვილი, რატომ გახდა საქართველო რეგიონში მაჩანჩალა ქვეყანა, რა არის ხალხის ბრალი? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

**ბეჟან ნათელაშვილი:**

— საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. იმ დროს, როცა ადამიანების დიდ ნაწილს ხშირად ჯიბეში 1 თეთრიც კი არა აქვს, მთავრობა იმაზე ფიქრობს, როგორ გადასხდნენ თეთრ ჯიპებზე. როგორც ყორანი არ გათეთრდება, ისე ამათ შავ საქმეებს ვერ გაათეთრებს თეთრ ჯიპებში გადაჯდომა.

დღეს მთავარი უბედურება ის არის, რომ ვერც ხალხი და ვერც მთავრობა ვერ აცნობიერებს, რომ „ოცნების“ საქმე არის შავად.

***— შავად რატომ არის მათი საქმე? გუნდში არსებული დაპირისპირება გაქვთ მხედველობაში?***

— ეს რა დაპირისპირებაა? შავად იმიტომ აქვთ საქმე, რომ მათმა გაუმაძღრობამ პიკს მიაღწია. ისინი უკიდურესად უპასუხისმგებლოდ უდგებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

თქვენ დაპირისპირებაზე მკითხეთ და მე ამას ბიძინას გართობას დავარქმევდი. მან წააჩხუბა თავისი გუნდის წევრები ერთმანეთთან და ახლა ამით განიცდის სიამეს.

გარდა იმისა, რომ ამ ჩხუბის ყურებით ტკბობას განიცდის, ორი კურდღლის დაჭერა აქვს გადაწყვეტილი. ამათ ხომ ერთმანეთს აჭმევინებს და ერთობა, ამის პარალელურად, დასავლეთს აჩვენებს, რომ მისი დასაყრდენი აღარ არის „ქართული ოცნება“.

***— თქვენი აზრით, „ოცნება“ დასავლეთისთვის მიუღებელი ძალაა?***

— მთლად მიუღებელი არ არის, მაგრამ არც დიდად აღფრთოვანებული არიან. ყოფილი პრემიერი „ოცნებისგან“ დისტანცირებას სულ სხვა მიზნით ცდილობს – სურს, ცივილიზებული სამყარო დაარწმუნოს იმაში, რომ პოლიტიკას ჩამოშორდა. მთელ მსოფლიოში სტარტი აიღო ანტიოლიგარქიულმა კამპანიამ. დასავლეთი



განსაკუთრებით რუს ოლიგარქებს ვერ იტანს. ივანიშვილი კი რუსი ოლიგარქის სახე და ხატებაა.

ადრე თუ გვიან მასაც მიაკითხავენ და წინასწარ დაიჭირა თადარიგი — ერთი მხრივ, ჩხუბით ერთობა, მეორე მხრივ — დასავლეთს ატყუებს. სულ ეს არის მათი დაპირისპირება.

***— დაპირისპირების თემაზე ვსაუბრობთ და, თქვენი აზრით, ამავე სერიიდან არის ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძის დაპირისპირება ბანკებთან?***

— ეს არის დიდი აფერა. საქართველოში ყველას ახსოვს ლეიბორისტული პარტიის გამართული კვირეული, სადაც ჩვენ ბანკებს ვამხელდით. ეს კვირეული ლამის ერთ თვეს გაგრძელდა. არ დავტოვეთ არცერთი ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომ არ მივვარდნოდით.

საქართველოს მთავარი უბედურება ბანკები – მთელი ქვეყანა ბანკების დიქტატის ქვეშაა მოქცეული. ტერმინი საბანკო დიქტატურა ჩვენი დამკვიდრებულია.

არჩევნების წინ ეს საბანკო დიქტატურა ყველა პოლიტიკურ ჯგუფს ახსენდება. მანამდე ჩუმად არიან. მხოლოდ ჩვენ ვყვიროთ. მოახლოვდა არჩევნები და ამ თემამაც წამოიწია წინა პლანზე.

***— მამუკა ბახტაძეს რატომ უნდა წამოეწია ეს თემა. ის ხომ არ არის ოპოზიციონერი?***

— ბახტაძე არის ქოცური ხელისუფლების შემადგენელი ელემენტი. ბანკების დიქტატის თემა მისთვისაც მიმზიდველი აღმოჩნდა. ბახტაძის მიერ ბანკების ლანძღვა იგივეა, მელამ საკუთარი თავი საქათმის აოხრების გამო დაგმოს.

***— მამუკა ბახტაძემ ახსენა მამუკა ხაზარაძის გვარი. არსებული ვერსიით, ფინანსთა მინისტრი მას მხოლოდ იმიტომ დაუპირისპირდა, რომ ის გიორგი კვირიკაშვილის გუნდის წევრია.***

— არ დაიჯეროთ, რომ მამუკა ხაზარაძეს ამის გამო დაუპირისპირდნენ. „ოცნება“ ბანკირებსა და ბანკებს არ დაუპირისპირდება. ეს იგივეა, გრძნეულმა საკუთარი თავი მოიჭრას.

ამ ხელისუფლების დიდი ნაწილი ქართუ ბანკშია დაფრთიანებული. ქართუ ბანკი კი რუსი ოლიგარქის კუთვნილებაა. ოლიგარქ-ბანკირი ივანიშვილი ამას როგორ დაუშვებს. ეს დაპირისპირება საარჩევნოდ დადგმული სპექტაკლია. ქოცები ხალხს ეუბნებიან, მართალია, აქამდე ტურები ვიყავით, მაგრამ ახლა ფრთიანი ანგელოზები ვხდებითო.

***— დაიჯერებს ხალხი ტურების ზურგზე ფრთების ამოსვლის ამბავს?***

— აბა რა გითხრათ, ხალხთან დაკავშირებით რამის თქმა მიჭირს. ჩვენი მოსახლეობა ვერც ერევნის ამბებმა გამოაფხიზლა. ერევანში ასეთი ამბები, იცით, რატომ მიდის? ის სახელმწიფოა. ჩვენ კი რა ვართ – ყოფილი საქართველო, რომელსაც ახლა საზომბეთი უნდა ერქვას. ასე რომ, ნუ გიკვირთ, სომხებმა ზომბებს რომ გვაჯობეს.

ზომბები რომ არ ვიყოთ, როგორ უნდა გაგვეტარებინა მშვიდად ის, რაც თეთრიწყაროს რაიონში ხდება. 18 თებერვალს ლეიბორისტული პარტია ლიდერთან ერთად ჩასული იყო თეთრიწყაროში. ჩვენებმა გაავრცელეს ფოტო და ვიდეოკადრები, სადაც ძალიან მკაფიოდ და ნათლად ჩანს, რომ იქ არის საქართველოს ხე-ტყის სასაფლაო.

მსგავსი ბარბაროსობა არ მახსოვს, რომელიმე დამპყრობელს გაეკეთებინა. ასეთი აკვიატება შაჰ აბასს ჰქონდა. ისიც მხოლოდ ვენახებს ერჩოდა, მაგრამ ტყეებს ხელს არ ჰკიდებდა. ისტორიკოსი არ ვარ, მაგრამ, რაც წამიკითხავს, ასე მასობრივად საქართველოს ბუნება არცერთ დამპყრობელს არ გაუნადგურებია. მას თავისუფლად შეიძლება მიენიჭოს ყველაზე საშინელი დამპყრობლის წოდება.

მართლა საზომბეთი თუ არ ვართ, მაშინ უნდა მივბაძოთ სომხებს და ეს უკანონობა უნდა დავასრულოთ. ამ უკანონობის დასასრულებლად პარტიული ღონისძიებები და ოპოზიციის მიტინგები საკმარისი არ არის.

***— კიდევ რა არის საჭირო?***

— ქუჩაზე ყველა უნდა გამოვიდეთ ქუჩაში. ყველა სადარბაზოში უნდა შეიქმნას დაუმორჩილებლობის კომიტეტები. უნდა აღირიცხოს ხალხი, ვინც ამ პროტესტს არ შეუერთდება.

***— რისთვის უნდა მოხდეს ამ ხალხის აღრიცხვა?***

— ყველას უნდა გავაგებინოთ მათი ვინაობა. მათ „გამარჯობაც“ არავინ უნდა უთხრას. სიტუაცია უნდა გარადიკალურდეს, თუ გვინდა, რომ ქვეყანა შევინარჩუნოთ.

***— მოსახლეობა თავის უკმაყოფილებას ღიად გამოხატავს, მაგრამ ქუჩაში არავინ გამოდის. თქვენი აზრით, რას ან ვის ელოდებიან?***

— რას ელოდებიან და, იმედი აქვთ, რომ მათ ნაცვლად გააკეთებს ვინმე საქმეს. ზემოთ თეთრიწყაროში ხე-ტყის სასაფლაოზე გესაუბრეთ. ეს ფოტომასალა სოციალურ ქსელშიც განვათავსეთ. ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ხალხი აღშფოთებული იყო, მაგრამ იმას კი არ ამბობდნენ, ქუჩაში გამოვიდეთო, გვიწერდნენ, რა მაგრები ხართ, მიდით, მიაწექითო.

ჩვენ მათი კომენტარების გარეშეც ვაწვებით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საერთო-სახალხო მღელვარებაა საჭირო. ხალხს კი ქუჩაში გამოსვლა არ უნდა. ასე არაფერი გამოვა. ამ ჭირის მოსაშორებლად ერთად უნდა გავიდეთ ქუჩაში.

***— იქნებ ხალხი ოპოზიციის დაძახებას ელოდება?***

— ერთხელ ხომ შეიძლება, ხალხმაც დაგვიძახოს? ხალხის ძალის წინააღმდეგ ხელისუფლება ვერ წავა. სომხეთში ხომ გავიდა ხალხი? ჩვენთან უარესი სიტუაციაა და სამზარეულოებიდან არ გავდივართ. არ ვიცი, რას ველოდებით. შესაძლოა იმას, რომ აზერბაიჯანიც გაიღვიძებს, მერე — ჩრდილოეთ კავკასიაც და ბოლოს ჩვენც ვიტყვით რაღაცას.

საქართველო რეგიონში ყოველთვის მოწინავე იყო. ჩვენ ვიყავით კავკასიის ცენტრი. თავისუფლებისთვის ბრძოლა პირველებმა დავიწყეთ. ახლა ხმის ამოღებაც არ გვინდა. რეგიონში მაჩანჩალებად და ზომბებად გვაქცია რუსმა ოლიგარქმა.



ყველაფრის მიუხედავად, მჯერა, რომ ერთ დღეს ხალხს ეს ყველაფერი ყელში ამოუვა და ერევანი მონაგონი იქნება. ერთხელ თუ იხუვლა ხალხმა, მერე ქოცები აქედან ვეღარ გაასწრებენ. ვერც უნდა გაგვასწრონ – მათი ადგილი მატროსოვში.

# ლევან ჩაჩუა: „კვირიკაშვილის სანათესავოს ისე არ მიუქარავს, როგორც ღარიბაშვილისას და ამიტომაც არ გადადგა“

## „ულტრალიბერალებმა საქართველოში თეთრი ჩოხები მოირგეს და ხალხს თვალში ნაცარს აყრიან“

მარიამ მჭედლიშვილი



მოძრაობა „ქართულმა იდეამ“ დააანონსა საპროტესტო მოძრაობა იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ აღკვეთს მართლმადიდებელთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას. ეს გამოიხატება კონტრაცეფციულ პროდუქციაზე წმინდანთა გამოსახულებაში. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობის ლიდერს, სინდისის ყოფილ პატიმარ ლევან ჩაჩუას.

**ლევან ჩაჩუა:**

– ჩვენმა მოძრაობამ იმ ფირმას, რომელიც მართლმადიდებლობას შეურაცხყოფს, თბილისის მერიაში ვუჩივლეთ. ეს მერიის გადასაწყვეტი საკითხია. კანონით აკრძალულია უხამსი შინაარსის პროდუქციის გამოშვება და რელიგიური უფლებების შელახვა. საჩივარი შეტანილია 28 მარტს. მერიის შესაბამისი სამსახური ვალდებულია, ერთი თვის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება.

როგორც ჩანს, ეს განგებ ჭიანურდება. ამ კომპანიის მეპატრონეების დახასიათება საჭიროც არ არის, მაგრამ, ნუთუ ნამუსზე ხელი აიღეს იმათაც, ვისაც ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა აბარია? შეიძლება, რომ მოიწონო პრეზერვატივზე წმინდანი თამარ მეფის სახე? ბედის ირონიით, მერიის იმ სამსახურს, რომელსაც მივმართეთ, სათავეში ბაგრატიონი უდგას. როგორ დავიჯეროთ, რომ ბაგრატიონს ასეთი სიბილწე მოსწონს? ამ ფირმამ სააღდგომო თემატიკაც გამოიყენა და პრეზერვატივებზე პასკისა და წითელი კვერცხების დახატვასაც არ მოერიდა.

***– მერიას 28 აპრილამდე დაელოდებით?***

– ამ დრომდე მოვიცდით. თუ კანონდარღვევაზე არანაირი რეაგირება არ იქნა, დავიწყებთ საპროტესტო მოძრაობას. ეს ისეთი საკითხია, რომელიც თითქმის მთელ საზოგადოებას ძალიან აღელვებს. ხალხი ამაზე დიდი ხანია ბობოქრობს. ხელისუფლების წარმომადგენლები დიდი კელაპტრებით ხელში ესწრებოდნენ სააღდგომო წირვას. ისინი დადიან ეკლესიებში, იწერენ პირჯვარს. ამ დროს ქვეყანაში ებრძვიან ეკლესიას და ფეხქვეშ თელავენ სიწმინდეებს. ასეთი ფარისევლობით ხალხს ვერ მოატყუებენ. ეკლესიამაც მკაცრი ზომები უნდა გაატაროს.

### რა შემთხვევაში გამოვა ხალხი ქუჩაში?

***– რას გულისხმობთ?***

– ეკლესიამ უნდა იმოქმედოს საეკლესიო სამართლის შესაბამისად, პასუხი უნდა აგებინოს იმათ, ვინც ამგვარ ვაიბიზნესზე ნებართვებს გასცემს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა ზღონ ამ უმსგავსობის გამო. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ გამეორდეს.

***– ბოლო დროს ხელისუფლებაში არსებული დაპირისპირება გამწვავდა და სააშკარაოზე გამოვიდა. ამ დაპირისპირებული ჯგუფებიდან რომელიმე თუ იზიარებს თქვენ მიერ ნახსენებ შეხედულებებს?***

– ჩვენს იდეოლოგიასთან ახლოს არცერთ ჯგუფი არ არის. რელიგიასთან დამოკიდებულებაში „ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, არ განსხვავდება ნაცმოძრაობის სისხლიანი რეჟიმისგან. კონფლიქტი ხალხს „ქართულ ოცნებაში“ ნამდვილად აქვს. ეს პირები იბრძვიან გავლენების, წილების, თანამდებობებისა და მომავალი ადგილებისათვის. გიორგი კვირიკაშვილს წყალი შეუყენეს. პრობლემა ის არის, რომ იგი ღარიბაშვილივით მაშინვე არ გადადგა. კვირიკაშვილი არ აცხადებს კაპიტულაციას. ალბათ, მის სანათესავოს ისე არ მიუქარავს, როგორც ღარიბაშვილისას და იხანგრძლივებს პრემიერობას.

ამის გამო მას მიუსიეს ხალხი. ვგულისხმობ როგორც მინისტრ მამუკა ბახტაძეს, ისე საპარლამენტო ჯგუფს კობახიძის, ჩუგოშვილის, თალაკვაძის, მდინარაძისა და სხვების მონაწილეობით. ბახტაძე ცალკე ფრთაა. ეს ადამიანი ივანიშვილის ვაჟის მეგობარია. დადის ხმები, რომ ის შეიძლება ბიძინა ივანიშვილის სიძეც გახდეს. ნინია კაკაბაძის კანდიდატურა მთავარი არ არის, მაგრამ ესეც იქცა განხეთქილების ვაშლად „ქართულ ოცნებაში“. ნიგერიელების მონაწილეობით თამაში რომ გაიმართა თბილისში, იქ კახი კალაძე და ირაკლი კობახიძე ერთად იდგნენ. იქ არ ყოფილა მეორე ჯგუფის არცერთი წარმომადგენელი.

***– ეს ჯგუფები იდეოლოგიურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?***

– საბოლოოდ ისინი ყველანი ულტრალიბერალები არიან. შარშან, 17 მაისს, ლგბტ პირებმა მთავრობის ადმინისტრაციასთან, კვირიკაშვილის ფანჯრებთან გამართეს პერფორმანსი. მათ ეკლესია შეურაცხყვეს. ამ პირებს სხვებისგან იცავდნენ პოლიციის კორდონები. ამ ხელისუფლებას არც სულიერება ადარდებს და არც – ხალხის გალატაკება. გული მიკვდება, როცა ვუყურებ, როგორ ჩადის ბანკებისა და კერძო მევახშეების ჯიბეებში ღარიბი მოსახლეობის უკანასკნელი გროშები. ქართველთა დიდი ნაწილი უცხოეთშია, იქ ეწევა მძიმე და დამამცირებელ სამუშაოს. იქ გადახვეწილების მიერ გამოგზავნილი ნაოფლარით მდიდრდება ერთი კასტა. დანარჩენები ღატაკდებიან.

***– ბანკების თემა ბოლო დროს სხვებმაც წამოსწიეს.***

– ჩვენი მოძრაობა ამაზე წლებია, მუშაობს, ისევე, როგორც მცირე ბიზნესის შესახებ კანონის აღდგენაზე ამ კანონის ავტორებთან ერთად. ყველაზე მტკივნეულია, რომ ვალების გამო ბინებს კარგავენ ჩვენი თანამოქალაქეები. ხელისუფლებას აქამდე უნდა მოეგვარებინა ეს საკითხი. საუბარია გრძელვადიან შეღავათიან კრედიტებსა და საცხოვრებლის შენარჩუნებაზე. გაკოტრებული პოლიტიკანები რაღაცას მიხვდნენ და ფერი იცვალეს.

***– რას მიხვდნენ პოლიტიკანები?***

– იმას, რომ რადიკალურად ლიბერალური იდეები ხალხში პოპულარული არ არის. დაახლოებით ორი თვის წინ ნუკრი ქანთარია აყენებდა ეროვნული ცნობიერების საკითხის კონსტიტუციაში დაფიქსირებას. პარლამენტის თავმჯდომარე ამას შეეწინააღმდეგა და ფაშიზმი უწოდა. ორ თვეში იგივე ირაკლი კობახიძე ეროვნულ ცნობიერებასა და ტრადიციების დაცვაზე ალაპარაკდა. „ქართულ ოცნებას“ მართლმადიდებელი ეკლესიაც გაახსენდა. იმედია, ამ რიტორიკას არავინ წამოეგება, ისევე, როგორც – სააკაშვილის ბოლოდროინდელ გამოსვლებს.

***– სააკაშვილი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული ძალები უნდა მოვიდნენ.***

– მეც ამაზე ვსაუბრობ. სააკაშვილს ბანკებისგან დაჩაგრული მოსახლეობაც შესცოდებია და ეკლესიაც გახსენებია. ულტრალიბერალებმა გადაყარეს ცისფერი მანტიები, მოირგეს თეთრი ჩოხები და ხალხს თვალში ნაცარს აყრიან. ისინი ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ველარ გაბატონდებიან. ეს ხალხმა არ უნდა დაუშვას.

# დავით ჭიჭინაძე: „გია ვოლსკი დაგვიბერდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე



ის და ჭიჭინაძე ასაკით დიდად არ განსხვავდებიან.

თანაპარტიელის ასაკოვან კაცზე თავდასხმამ მაღრაძე დაარწმუნა, რომ პარლამენტში ქცევის კოდექსი მართლა შემოსაღებია.

– მსგავსი გამონათქვამები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ძალიან შორს ვართ იმ სტანდარტებისგან, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს პარლამენტის წევრი თავის ქცევაში, თავის გამონათქვამებში. სწორედ ამიტომ არის ეთიკის კოდექსი საჭირო. ეთიკის კოდექსი კოვზით ჭამას არ ასწავლის, თუმცა, ცაცია თუ არის ადამიანი, მას ვერ დაუშლი მარცხენა ხელში კოვზის დაკავებას. რაც შეეხება ასაკს, ეს არის წმინდა ასაკობრივი დისკრიმინაცია. ჯერ ერთი, მე და დავით ჭიჭინაძე დიდად არ განვსხვავდებით ასაკით. 1992 წლიდან ვიცნობ და, თუკი ადამიანი თავს დებს ჯენტლმენობასა და კარგ აღზრდაზე, ისედაც არ არის საჭირო ასაკის მითითება, – ამბობს „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი.



ასაკოვნებზე თავდასხმისთვის ჭიჭინაძეს პასუხს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერიც მოსთხოვს. არჩილ თალაკვაძე მძიმე საუბრით იმუქრება. მისი კომენტარიდან ირკვევა, რომ ჭიჭინაძეს ახალგაზრდა ირაკლი კობახიძის გმობის გამო უფრო ემტერება.

ისნის მაჟორიტარი რამდენიმე დღის წინ პარლამენტის თავმჯდომარის იმპიჩმენტზე ალაპარაკდა.

– იმას, ვინც შეურაცხყოფას აყენებს თანაგუნდელებს, გამართლება ვერ ექნება. ჩემთვის მიუღებელია მისი განცხადებები ირაკლი კობახიძის, გიორგი ვოლსკისა და ჩვენი სხვა კოლეგების მიმართ, – აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

* * *

ცუდი არ იქნება, თუ დავით ჭიჭინაძეს აუხსნიან, რომ ასაკი ცოდვა არ არის და ახალგაზრდებსაც უჭირთ ხოლმე კორექტულისა და არაკორექტულის გარჩევა.

მართალია, ვოლსკის ასაკში არ არის, მაგრამ რამდენიმე თვის წინ ისეთი განცხადება გააკეთა, რასაც ვიცესპიკერი 141 წლის ასაკშიც არ იკადრებს. რამდენიმე თვის წინ ჭიჭინაძემ გლეხებს სულ უწიგნურები და გაუნათლებლები უწოდა.

# „კახა, ნუ გვაბოლებ!“ — აქცია თბილისის მერიასთან

თბილისის მერიასთან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ აქცია „ნუ გვაბოლებ“ გამართა. ისინი თბილისში, ძველი იპოდრომის ტერიტორიაზე, საავტომობილო ესტაკადის მშენებლობას აპროტესტებდნენ.




მათი თქმით, აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში სერიოზული პრობლემა შეექმნება მწვანე საფარს და რეკრეაციული ზონა დაზიანდება. აქციის მონაწილეთა ინფორმაციით, მოჭრა ემუქრება ასზე მეტ ხეს. ისინი თბილისის მერს მოუწოდებენ, შეცვალოს აღნიშნულთან დაკავშირებით მიდგომა და არ გაიმეოროს იგივე შეცდომები, რაც თავის დროზე დავით ნარმანიამ დაუშვა.

აქციის ორგანიზატორებმა ერთი თვის წინ თბილისის მერიაში ასევე შეიტანეს მოქალაქეთა პეტიცია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე საავტომობილო ესტაკადა არ აშენდეს. მას ხელი 2.225-მა ადამიანმა მოაწერა.

რამდენიმე დღის წინ სამუშაოები თბილისის მერმა კახა კალაძემ დაათვალიერა. მისი თქმით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში ქალაქში განიტვირთება საავტომობილო მოძრაობა, ხოლო ტერიტორიაზე თბილისის მერია ხეებს თავიდან დარგავს, რათა რეკრეაციული ზონა შენარჩუნდეს.

# ზაზა პაპუაშვილი ბიძინა ივანიშვილზე: „ბელადები და ყოჩები არ გვჭირდება“



ფრაქცია „ქართული ოცნება – ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა პაპუაშვილი, არ ეთანხმება მმართველ გუნდში დეპუტატების ძველ და ახალ სახეებად დაყოფას.

– ვინც ეს ტერმინოლოგია დაამკვიდრა, ძველი და ახალი სახეები, ეს არის შეურაცხმყოფელი. ამიტომ ვინც არიან ასეთი დაყოფის, დანაწევრებისა და ამ ტერმინოლოგიის შემოღების ავტორები უნდა გაირკვეს.

ჩემი დამოკიდებულება ასეთია ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით – ჩვენ არ ვართ ადამიანები და არც უნდა ვიყოთ, რომ ყოჩებს და ბელადებს ვეძებდეთ. ეს კატეგორიულად არ მიმაჩნია სწორად. უფრო მეტს ვიტყვი, ასეთივე შეხედულება აქვს მასაც ამ ცხოვრებისეულ დამოკიდებულებასთან. ჩვენ არც ბელადები უნდა გვჭირდებოდეს და არც ყოჩები. ჩვენ უნდა ავაშენოთ ქვეყანა, სადაც შეიცვლებიან მთავრობებიც, მაგრამ უნდა შევძლოთ, ცხოვრება გაგრძელდეს ინსტიტუციურად, როგორც იგება ჩვეულებრივი თანამედროვე სახელმწიფო, – განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა.

# მთავრობის საპარლამენტო მდივანი ნათია მიქელაძე იქნება



მთავრობის საპარლამენტო მდივანი ნათია მიქელაძე იქნება. იგი აღნიშნულ პოსტზე შალვა თადუმაძეს შეცვლის, რომელიც, თავის მხრივ, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა.

– მინდა, დღეს წარმოგიდგინოთ შალვა თადუმაძის შემცვლელი მთავრობის საპარლამენტო მდივნის პოზიციაზე. ეს გახლავთ ქალბატონი ნათია მიქელაძე. მე მგონი, მას ყველა კარგად ვიცნობთ. ნათიას ძალიან მდიდარი გამოცდილება აქვს საჯარო სექტორში. იგი მუშაობდა როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ, ფინანსთა მინისტრის მოადგილედ, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ, ხოლო ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო შალვა თადუმაძის მოადგილე. მოგეხსენებათ, რამხელა მნიშვნელობა აქვს მთავრობისა და პარლამენტის ნაყოფიერ თანამშრომლობას და მე დარწმუნებული ვარ, რომ ნათია თავისი გამოცდილებით, საქმისადმი განსაკუთრებული მიდგომით გაართმევს წარმატებით თავს ამ ამოცანას და მინდა, წარმატება ვუსურვო ამ ძალიან საპასუხისმგებლო საქმეში, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე.



# რას შეცვლის ბაზარზე ფინანსთა მინისტრის ინიციატივა



სალომბარდე საქმიანობაში სახლისა და ავტომანქანის გარანტიის სახით მიღება შესაძლოა აიკრძალოს. ინიციატივა ფინანსთა მინისტრმა უკვე გააჟღერა... 

სალომბარდე საქმიანობაში სახლისა და ავტომანქანის გარანტიის სახით მიღება შესაძლოა აიკრძალოს. ინიციატივა ფინანსთა მინისტრმა უკვე გაახმოვანა.

– მოვისმინე ექსპერტების მოსაზრება, რომ თუ ადამიანი ლომბარდში თავის სახლს გარანტიის სახით მიიტანს და ფულს მიიღებს, ამით შესაძლებელი იქნება ბიზნესი დაიწყოს. ვის გაქვთ იმის წარმოდგენა, რომ დალომბარდებული სახლიდან მიღებული თანხა შეიძლება სასტარტო კაპიტალად იქნას გამოყენებული.

ცალსახად უნდა იყოს განსაზღვრული იმ აქტივების ჩამონათვალი, რომლებიც სალომბარდე საქმიანობაში არ უნდა მონაწილეობდნენ, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ, თუმცა იქვე დასძინა, რომ „ეს კონსულტაციის შედეგი უნდა იყოს“.

მართალია, სალომბარდე საქმიანობაში აღნიშნული ცვლილებების შეტანა მხოლოდ იდეის დონეზეა, თუმცა მისი განხორციელება ცხადია, რომ ბაზარზე გარკვეულ ძვრებს გამოიწვევს. როგორც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას სალომბარდე საქმიანობით დაკავებული ბიზნესოპერატორები აცხადებენ, იმ შემთხვევაში, თუ მათ სახლისა და ავტომანქანის გარანტიის სახით მიღება აეკრძალებათ, ეს სხვა პროდუქტზე საპროცენტო განაკვეთების ზრდას გამოიწვევს. შესაბამისად, შემცირდება საკრედიტო პორტფელიც.

თბილისში მდებარე ერთ-ერთი ლომბარდის წარმომადგენელი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ინიციატივა მომხმარებლისთვის სასარგებლო იქნება, თუმცა ბიზნესისთვის – საზიანო.

– ბაზარს, საკრედიტო პორტფელს, დაბანდებებს შეამცირებს განსაკუთრებით მათთვის, ვინც მხოლოდ ავტოლომბარდზე ან უძრავი ქონების უზრუნველყოფაზე მუშაობენ. თვითონ ინიციატივა მისასალმებელია იმ მხრივ, რომ მომხმარებელთა უფლებები დაცული იქნება, მათთვის უსაფრთხო გარემო შეიქმნება, ბინიდან გამოსახლებისა და მანქანის დაკარგვის რისკი აღარ ექნებათ. ბიზნესზე კი უარყოფით გავლენას იქონიებს, თუმცა იმედია, რომ ინიციატივა ისეთი ფორმით ამოქმედდება, რომ ბაზარი სერიოზულად არ დაზარალდება, – აცხადებენ ლომბარდში.

კიდევ ერთი ლომბარდის წარმომადგენელი აცხადებს, რომ აღნიშნული ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი სერვისი ჩამოაკლდებათ და შესაბამისად, სხვა სერვისებზე პროცენტის აწევა მოუწევთ.

– მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ოქროს სალომბარდე მომსახურებას უფრო აქტიურად ვახორციელებთ, დღეში საშუალოდ 4-5 ადამიანი მოდის, ვისაც ავტომანქანის ლომბარდში ჩადება უნდა. ასევე მოდიან უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის მიზნითაც. მსგავსი ინიციატივა, უარყოფითი შედეგის მომტანი მგონია. ლომბარდებში დიდი რაოდენობით უძრავი ქონების და ავტომობილების უზრუნველყოფა ხდება და დაბალი პროცენტიც იმიტომ არის. ლომბარდებს თუ ეს სერვისი მოაკლდებათ, სავარაუდოდ, პროცენტს ასწევენ, – აცხადებენ ლომბარდში.

ლომბარდების წარმომადგენლების თქმით, კლიენტების მხრიდან უძრავ-მოძრავი ქონების უზრუნველყოფით სესხის მიღებაზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია და იმ შემთხვევაში, თუ ავტომანქანების გარანტიის სახით მიღება და სახლების იპოთეკით დატვირთვა შეეზღუდებათ, სხვა სერვისებს უფრო გაააქტიურებენ, მაგალითად, გარანტიის სახით, ოქროს მიღებას:

– მოთხოვნა რომ არის ავტომანქანების ჩადებასა და სახლების იპოთეკით დატვირთვაზე, ამიტომაც ვახდენთ ფოკუსირებას ამ მიმართულებაზე. არის დღეები, რომ დღეში ასეთი 5 სესხი გაიცემა, ან 10, ან საერთოდ არა. ზუსტი პროგნოზირება რთულია, თუმცა მოგვიწევს სხვა სერვისებზე უფრო მეტად გადართვა, – ამბობენ ლომბარდებში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2017 წლის ბოლოსთვის საქართველოში სალომბარდო საქმიანობით დაკავებული 875 მოქმედი ორგანიზაცია (ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა) დაფიქსირდა.

მათივე ინფორმაციით, 2017 წლის განმავლობაში გაცემული სესხების მოცულობამ 405,8 მლნ ლარი შეადგინა. აქედან 96,4% ფიზიკურ, ხოლო დარჩენილი 3,6% – იურიდიულ პირებზე მოდის. კერძოდ, ფიზიკურ პირებზე გაცემულია 391 მლნ ლარის სესხი.

რაც შეეხება მსესხებელთა რაოდენობას, საქართველოში მოქმედ ლომბარდებში, 2017 წლის განმავლობაში მსესხებელთა (კლიენტთა) რაოდენობა 609,4 ათასი ერთეულით განისაზღვრა. აქედან თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დაახლოებით 99,6% ანუ 606.9 ათასი ფიზიკური პირი იყო.

მათივე ცნობით, ლომბარდების 55,7% თბილისში მდებარეობს, 12,1% – იმერეთის რეგიონში, 9,9% – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 9,7% – აჭარაში, ხოლო დანარჩენი 12,6% სხვა რეგიონებში ფუნქციონირებენ.

ამასთან, „საქსტატის“ ლომბარდების სალაროში არსებული ნაღდი ფულის მოცულობამ, 2017 წლის ბოლოსთვის 23,8 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის 79,8% ეროვნულ ვალუტაში, ხოლო დანარჩენი 20,2% – უცხოურ ვალუტაში იყო გამოსახული.

# აზარტული თამაშების ბრუნვამ 5 მილიარდს გადააჭარბა – ბიუჯეტს კი აქედან მხოლოდ 5,8% ერგო

2017 წელს სათამაშო (აზარტული) ბიზნესმა ბიუჯეტში 332 მილიონი ლარი გადაიხადა. ეს იმ ფონზე, როდესაც ამ ბიზნესის ბრუნვამ შარშან 5,650 მილიარდი ლარი შეადგინა.

ამ ციფრებიდან ჩანს, რომ აზარტული თამაშები ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია და, როგორც სპეციალისტები აცხადებენ – მოსახლეობისთვის სახიფათო, ქვეყნის ეკონომიკისთვის – ზიანის მომტანი.

შემოსავლების სამსახურის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მოწოდებული მონაცემებით, 2017 წელს აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვის მქონე ოპერატორებმა გადასახადების სახით ბიუჯეტში 154, 5 მილიონი ლარი გადაიხადეს, მოსაკრებლის სახით – 119,5 მილიონი ლარი, შესაბამისი ადგილების მოწყობის მოსაკრებლებისგან კი ბიუჯეტში ბიზნესმა 58 მილიონი ლარი გადაიხადა. ჯამში, გასულ წელს სათამაშო ბიზნესიდან ქვეყნის მთავარ ხაზინაში 332 მილიონი ლარი შევიდა, ანუ მთლიანი ბრუნვის 5,8%.

როგორც ცნობილია, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა დადგენილია საქართველოს კანონით. სანებართვო მოსაკრებლის მოცულობა ასე გამოიყურება: სათამაშო აპარატზე 50.000 ლარიდან 1.000.000 ლარამდე; სამორინეს მაგიდაზე მოსაკრებელი 5.000.000 ლარამდეა; აზარტული კლუბის მაგიდაზე 10.000 ლარიდან 50.000 ლარამდე; ტოტალიზატორზე – 30.000-დან 300.000 ლარამდე. რაც შეეხება სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე მოსაკრებელს, მისი მოცულობა 250.000-დან 300.000 ლარამდეა.

ამასთან, შემოსავლების სამსახურის სტატისტიკით, 2017 წლის მდგომარეობით 136 სუბიექტზე გაცემული იყო და მოქმედებდა 256 სათამაშო ბიზნესის ნებართვა, მათ შორის: ტოტალიზატორის მოწყობის – 91 ნებართვა, სამორინეს მოწყობის – 21 ნებართვა, სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობები ეწყობოდა – 16 ნებართვის ფარგლებში.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2017 წელს ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამიც მთელი წლის განმავლობაში იზრდებოდა. თუ 2017 წლის იანვარში ფსონების ჯამი იყო 79,2 მილიონი ლარი, დეკემბერში მან უკვე 101,3 მილიონი ლარი შეადგინა.

რაც შეეხება აზარტული თამაშების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვას, საქსტატის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მოწოდებული მონაცემებით, 2017 წელს მან 5,649 მილიარდი ლარი შეადგინა (საქსტატი: წინასწარი მონაცემი).

სპეციალისტების განცხადებით, სათამაშო ბიზნესი საქართველოში სწრაფი ტემპებით იზრდება. ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ ფართოვდება მისი შეღწევადობაც საზოგადოების სხვადასხვა ფენებში, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალებში. თუ რამდენიმე წლის წინ აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი იყო უშუალოდ სათამაშო დაწესებულებაში მისვლა, დღეს ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერი საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ სახლიდან გაუსვლელად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ონლაინ აზარტული თამაშების სამყაროში აღმოჩნდეთ.

სათამაშო ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებელს „კატასტროფულს“ უწოდებს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ კუკულაძე. მისი თქმით, საზოგადოება და ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს, ღირს კი ამ ბიზნესის განვითარება იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში უკიდურესად მძიმე სოციალური ფონი გვაქვს.

– რეალურად ჩვენ გვაქვს ისეთი სიტუაცია, რომ საქართველოს მოსახლეობა გართობაში გაცილებით მეტს ხარჯავს, ვიდრე სხვა რამეში, თუნდაც ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე, ხელშეწყობაზე.

აზარტული თამაშების სექტორის 5,6-მილიარდიანი ბრუნვა არის კატასტროფულად მაღალი მაჩვენებელი, გამოდის, რომ მოსახლეობა გართობაში 5,6 მილიარდ ლარს ხარჯავს. არადა, ეს არის ბიზნესი, რომელიც არ ავითარებს მომიჯნავე სექტორებს. სამშენებლო სექტორის შემთხვევაში ასეთი მოცულობის ბრუნვა მომიჯნავე ბიზნესების განვითარებას გამოიწვევდა, სათამაშო ბიზნესის შემთხვევაში ეს ასე არ ხდება, რეინვესტირება არ ხორციელდება. ამასთან, სათამაშო ბიზნესის განვითარებას რეალურად, ეკონომიკური ეფექტი არ აქვს.

რაც შეეხება ბიუჯეტში მათ მიერ გადახდილ თანხას, ისიც ძალიან მცირეა. არადა, საქართველოში ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმში მყოფი კომპანიები იხდიან 33%-ს, დაახლოებით 5-6-ჯერ ნაკლებს იხდის სათამაშო ბიზნესი, რაც სრული ნონსენსია, – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ კუკულაძემ.

# გოჩა მანია: „სასამართლო ხელისუფლებაში სერიოზული პრობლემებია“

რა საფრთხის წინაშე დგას ხელისუფლება, რატომ ვერ შეძლო ქვეყანამ სამართლიანი სასამართლოს შექმნა და რა რისკებს შეიცავს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ **გოჩა მანიასთან**.

***– ბატონო გოჩა, ფაქტია, სამართლებრივი კუთხით ქვეყანაში ყოველდღიურად სულ უფრო რთული ვითარება იქმნება. მის მიზეზად საზოგადოების ნაწილი ინსტიტუციურ პრობლემებს, ნაწილი კი სამართლიანობის აღდგენის დაპირების შეუსრულებლობასა და მმართველი პოლიტიკური გუნდის უუნარობას ასახელებს. პირადად თქვენ რით ახსნიდით შექმნილ ვითარებას?***

– მართლაც სამწუხარო რეალობის წინაშე ვდგავართ: ინსტიტუციური პრობლემები სულ უფრო მეტად იჩენს თავს, რაც უარყოფითად აისახება, როგორც ქვეყნის ცხოვრებაზე, ისე თავად ხელისუფლების იმიჯზე. საზოგადოებას, არ დაგიმალავთ, პირადად მეც, დიდი მოლოდინი მქონდა ამ ხელისუფლების, რადგანაც სააკაშვილის ცხრაწლიანი სასტიკი მმართველობის პირობებში ქვეყანაში გამეფებული ბიზნესტერორი, ნულოვანი ტოლერანტობა და უსამართლო სასამართლო საბოლოოდ უნდა დასრულებულიყო. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, მართალია, მთელი რიგი მიმართულებით არის ცვლილებები და განსაკუთრებით სიტყვის თავისუფლების კუთხით, მაგრამ სასამართლო ხელისუფლებაში დღემდე სერიოზული პრობლემებია. წლების განმავლობაში უზენაესს სასამართლოში ვმუშაობდი, საკმაოდ დიდი ხანია, რაც ადვოკატურაში ვარ და დამერწმუნეთ, ხელისუფლებისა და ქვეყნის იმიჯზე ძალიან უარყოფითად მოქმედებს, როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე საჯაროდ აცხადებს, რომ ის ზეწოლის ქვეშაა.

***– თქვენ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შექმნილ უმძიმეს ვითარებასა და იმ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნაზე მიანიშნებთ, რომლითაც ყველა ის მოსამართლე უვადოდ დაინიშნა, ვინც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დროს ათასობით უკანონო განაჩენები დაადგინა და უდანაშაულო ადამიანები ძალიან მაღალი სასჯელებით ციხეებში გამოკეტა?***

– რა თქმა უნდა და არა მხოლოდ ამაზე ვსაუბრობ. სასამართლოში დღესაც სერიოზული პრობლემებია. სამწუხაროდ, ტენდენცია იგივეა: მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები კვლავ აგრძელებენ სასამართლოში ჩარევას, მნიშვნელოვანია მათი ზეგავლენა პროკურატურაზეც. სწორედ ამიტომ არის, რომ არაერთი გახმაურებული საქმე, რომელიც მედიით შუქდება, კითხვის ნიშნებს ტოვებს და არა მხოლოდ იურისტები, რიგითი ადამიანებიც ხვდებიან, რომ გამოძიებას სერიოზულად უჭირს. ხალხი სასამართლოს ითხოვს და ამიტომ პარლამენტის თუ ხელისუფლების სხვა გავლენიანი წარმომადგენლები სასამართლოსგან შორს უნდა იდგნენ, მით უმეტეს, დამნაშავეებს ხელი არ უნდა დააფარონ. არაერთი დეპუტატის გვარმა გაიჟღერა, რომლის შვილებიც სისხლის სამართლის დანაშაულთან ასოცირდებოდნენ, თუმცა მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.



***– სახელისუფლებო კრიზისზე კეთდება განცხადებები. ფიქრობთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობა დაიშლება?***

– შეიძლება, კრიზისის ნიშნები ბოლომდე არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ მმართველ ელიტაში გამოიკვეთა გუნდი ე.წ. ახლების სახით, რომელიც ცდილობს მართვის სადავეების ხელში აღებას და იმ ფასეულობების იგნორირებას, რისთვისაც ხალხმა „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა. პარლამენტის თავმჯდომარემ აღიარა, რომ მისი დასაყრდენი არის ფრაქციის თავმჯდომარე და უმრავლესობის ლიდერი, თუმცა კობახიძეს, როგორც ჩანს, ავიწყდება, რომ ის ვიწრო წრეში ჩაკეტვით ხელისუფლებას აზიანებს და იმ ადამიანების ნდობას კარგავს, რომლებმაც მმართველ გუნდს მხარი დაუჭირეს. იმედია, საქმე იმპიჩმენტამდე არ მივა, თუმცა ამაზე უკვე ღიად მიდის საუბარი. სამწუხარო ფაქტი იქნება, თუკი ხელისუფლების დაშლის მიზეზი მმართველი ელიტის შიგნით პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება გახდება. შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობა „ოცნებას“ არ სჭირდება, მაგრამ ქვეყნისთვის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული სწორი პოლიტიკური კურსი და ეკონომიკური განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ხალხს ძალიან გაუჭირდა. ძალიან მაღალია ქვეყნიდან ემიგრაციაში წასულთა და წასვლის მსურველთა რიცხვი. ამას უმუშევრობის ძალიან მაღალი დონე და სხვა არაერთი ფაქტორი განაპირობებს.

***– რატომ ვერ შეძლო ხელისუფლებამ სამუშაო ადგილების შექმნა? თითქოს ინიციატივებიც იდება და ბიზნესხელშეწყობაც ხდება.***

– დასაქმება, მართლაც სერიოზული პრობლემაა. ეპოტიზმი და არაკვალიფიციურობა სახეზეა. მასზე საერთაშორისო ორგანიზაციებიც საუბრობენ. რაც შეეხება ბიზნესს, თითქოს რაღაც პროგრამებიც დაიწყო მის წასახალისებლად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ბანკების ვალებში იხრჩობა. მრავალმა ადამიანმა დაკარგა სახლი ბანკის ვალის თუ ავადმყოფობის გამო. ვინც მუშაობს ეკონომიურად, ისიც ვერ არის ისე მყარად, რომ ქვეყნიდან გაქცევაზე არ იფიქროს. შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ სერიოზული ეკონომიკური რეფორმები გატარდება და ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი მაღალი ხელფასები და პრემიები კი არ იქნება. არამედ საშუალო ფენის ჩამოყალიბება. დღეს ეს ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი არ არის, არადა, ხალხს გადასახადების შემცირებას ჰპირდებოდნენ, საპირისპირო კი მივიღეთ.

***– ბოლოს ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე გკითხავთ: საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას და იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც პარლამენტში იხილება. რატომ არის ეს საკითხი ასე აქტუალური და რატომ არ უნდა ითვალისწინებდეს სასჯელს დოზა, რომელიც, როგორც ითქვა, ოცდაათი ადამიანის სამყოფია?***

– ესეც სერიოზული პრობლემაა. ნარკოპოლიტიკა ნამდვილად გადასახედია და მესმის, რომ მოხმარების გამო ადამიანები ციხეში არ უნდა მიდიოდნენ, მაგრამ რატომღაც ძალიან დიდი დოზები დაფიქსირდა საჯარო განხილვების დროს, არ ვიცი, ხელისუფლებას რა არგუმენტები აქვს და რამდენად გაამართლებს მათ მიერ შემუშავებული კანონი რეალურ ცხოვრებაში, მაგრამ ხალხში ამბობენ, რომ ეს ნარკომომხმარებელთა რისკს გაზრდის და რომ ეს, ფაქტობრივად, წახალისების ტოლფასია. ვურჩევ ხელისუფლებას, არ იჩქაროს ამ კანონის მიღება. შეიძლება შედეგები იმაზე მძიმე აღმოჩნდეს, ვიდრე წარმოგვიდგენია. ჩვენ ძალიან მცირერიცხოვანი ერი ვართ. რაც შეეხება ნარკომომხმარებელთა მკურნალობას, რომელთაც სახელმწიფომ უნდა უმკურნალოს, არც მათი რიცხვი იქნება მცირე და ბიუჯეტისთვისაც იოლი არ იქნება ამხელა თანხებთან გამკლავება.

ნარკოპოლიტიკის ცვლილებისას დაჩქარება არ ივარგებს. საქართველო პატარაა და არაერთი მძიმე მაგალითია ჩვენ თვალწინ.

## მიხეილ ჯიბუტი: „ქვეყანას ერთ სისტემაში მოქცეული ეკონომიკური პოლიტიკა და სტრატეგია არ გააჩნია“

– საქართველოში 2006 წლის შემდეგ სტრატეგიების შექმნა კანონმდებლობით არ რეგულირდება.

ამის შესახებ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მიხეილ ჯიბუტმა „კომერსანტს“ განუცხადა.

მისი ინფორმაციით, საქართველოში 2006 წლის შემდეგ, რაც „ინდიკატური დაგეგმვის შესახებ“ კანონი არ გვაქვს, ხედვა, თუ



როგორი უნდა იყოს სტრატეგია, რისგან უნდა შედგებოდეს, რა პუნქტებისგან უნდა შედგებოდეს, ვინ არის პასუხისმგებელი, დღეს არ გვაქვს. ჯიბუტის განცხადებით, დღეს ქვეყანას ერთ სისტემაში მოქცეული ეკონომიკური პოლიტიკა და სტრატეგია არ გააჩნია.

ჯიბუტის განცხადებით, ქვეყანაში არსებული მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა რეალურად 300 პუნქტია.

– შედეგად, მთავრობამ დღემდე ვერ გაარკვია, 4 პუნქტში რამდენი პუნქტია, – აცხადებს ჯიბუტი.

მისი განცხადებით, დღეს საქართველოს ეკონომიკური სისტემა ინსტიტუციურად მოწყობილი არ არის, თუმცა, არის მიმართულებები, რომელთა განვითარებაც შესაძლებელია დადებითად შეფასდეს. „დღეს საქართველოში ინსტიტუციონალურად ორი ყველაზე კარგი ინსტიტუტია. ეს არის ფისკალური სისტემა და საბანკო სისტემა“, – განმარტავს ჯიბუტი.

მისი ინფორმაციით, მამუკა ბახტაძის რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებას კარგი იქნება თუ ჩამოშორდება სკანდალური ფორმა და აქცენტი მის შინაარსზე გაკეთდება.

– ამ განცხადებას ვუყურებ ისე, როგორც დეტონატორს. ფინანსთა მინისტრმა რაღაც სისტემაში უნდა მოაქციოს საგადასახადო ინიციატივები, – აცხადებს ჯიბუტი.

## „კომერციულმა ბანკებმა საცალო სესხების სეგმენტიდან აქცენტი ბიზნესსესხებზე უნდა გააკეთონ“

ექსპერტი საბანკო საკითხებში დავით კიკვიძე ამბობს, რომ საქართველოს ეკონომიკის დაკრედიტება კომერციული ბანკების მხრიდან არის ერთპიროვნულად მიმართული საცალო და არა ბიზნესსესხებზე, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.



რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ დავით კიკვიძემ განაცხადა, რომ ის იზიარებს ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძის მოსაზრებას. მისი თქმით, კომერციულმა ბანკებმა, მიმართულება უნდა შეცვალონ და საცალო სესხების სეგმენტიდან აქცენტი ბიზნესსესხებზე გააკეთონ.

– ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად მახსენდება მთავრობის წევრი რომელმაც კრიტიკული განცხადება გააკეთა კომერციული ბანკების მიმართ. კომერციული ბანკების თავდაპირველი დანიშნულება იყო ის, რომ მათ უნდა დააკრედიტონ ეკონომიკა, გაზარდონ ეკონომიკა, ხელი შეუწყონ მეწარმეობას რამაც საბოლოო ჯამში დასაქმება უნდა გაზარდოს. ეს არის კომერციული ბანკების რეალური დანიშნულება. დღეს გვაქვს შემდეგი რეალობა: კომერციული ბანკები იქცნენ კომერციულ სექტორად და მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით უყურებენ ბიზნეს. აქედან გამომდინარე მათი დაკრედიტება ეკონომიკური ზრდის მიმართულებით არ არის ისეთი როგორიც უნდა იყოს, – განაცხადა დავით კიკვიძე

დავით კიკვიძემ ყურადღება სასტარტო პროგრამაზე გაამახვილა. ექსპერტი საბანკო საკითხებში ამბობს, რომ კომერციული ბანკების აზრი გასათვალისწინებელია იმ თვალსაზრისით, რომ სტარტაპის დაფინანსება ზოგადად ყოველთვის რისკიანია. კიკვიძე ამბობს, რომ პრობლემის მოგვარება თავის დროზე, კომერციული ბანკების კეთილი ნების გამოჩენით და მთავრობის მხრიდან მეტი ინიციატივის გამოჩენით იყო შესაძლებელი.

– საქართველოში სტარტაპის დაფინანსება სარისკოა თუმცა, არსებობს გარკვეული სიცოცხლის უნარიანი პროექტები, რომელიც შეიძლება დაფინანსებულიყო. თუნდაც ისეთი მექანიზმით რაც დღეს მივიღეთ „აწარმოე საქართველოს“ ან „სტარტაპ-საქართველოს“ ფარგლებში. ასეთი ნიშის დაკავება კომერციულ ბანკებს ყოველთვის შეეძლოთ თუმცა, ისინი თავს არიდებენ დამატებით თავის ტკივილს, იქედან გამომდინარე, რომ მათ ურჩევნიათ გამარტივებული სასესხო პორტფელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფილია სესხების შემოსავლით, – განაცხადა დავით კიკვიძემ.

## პარლამენტმა პოლიტიკური სუბიექტების დაფინანსების წესი შეცვალა

„მრეწველების“ მიზანი მიღწეული და მათი მთავარი საპარლამენტო ინიციატივა დამტკიცებულია – პარლამენტმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებები მესამე მოსმენით დაამტკიცა, რომლის საფუძველზეც კვალიფიციური სუბიექტის სტატუსსა და საბიუჯეტო დაფინანსებას მრეწველთა პარტიაც მიიღებს.

უფრო კონკრეტულად კი, საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფო იმ პოლიტიკურ გაერთიანებასაც (პარტიას) დააფინანსებს 300 ათასი ლარით, რომელიც საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს, მაგრამ პარლამენტში ერთ მაჟორიტარს მაინც შეიყვანს და რომელიც ფრაქციასაც შექმნის. მეცხრე მოწვევის პარლამენტში „მრეწველების მთავარი ინიციატივა საკუთარი პარტიისთვის დაფინანსების მოპოვება გახდა.

როგორც ოპოზიციაში, ისე სახელისუფლებო გუნდშიც აცხადებდნენ, რომ არ შეიძლება, პარტია იქნება თუ პიროვნება, მას კანონებს არგებდნენ. საპარლამენტო უმრავლესობაში ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, „ქართული ოცნების წევრის გია ჟორჟოლიანისა და „მრეწველების მაჟორიტარის სიმონ ნოზაძის საკანონმდებლო ინიციატივა – პარტიების დაფინანსების წესის ცვლილებასთან დაკავშირებით პარლამენტმა, მესამე მოსმენით 18 აპრილს მაინც დაამტკიცა.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი 23 მარტის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით კენჭისყრისას შედეგით – 71 მომხრე, 4 – წინააღმდეგი, ჩავარდა. პროექტს მესამე მოსმენით ხელახლა უყარეს კენჭი და 77 – მომხრე, 1 – წინააღმდეგი, დაამტკიცეს.

მაშინ, როცა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი, მათ შორის ანტიდემპინგური, სივრცითი მოწყობის და კიდევ ბევრი სხვა პროექტი განხილვის მოლოდინშია, პარლამენტმა დრო გამონახა და პარტიების დაფინანსების წესის ცვლილების საკითხი, საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დაჩქარებული ტემპით განიხილა.

ოპოზიცია ფიქრობს, რომ აღნიშნული ცვლილებით, ხელისუფლებამ სატელიტების დაფინანსების სქემა შექმნა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მმართველი გუნდი „მრეწველებს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მრავალწლიან ერთგულებას უფასებს. ცნობისთვის, ამ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი ხაშურის მაჟორიტარი სიმონ ნოზაძე „მრეწველების“ ერთადერთი წარმომადგენელია პარლამენტში.

საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა თავად მმართველ გუნდშიც. „ქართულ ოცნებაში“ შიშობენ, რომ არსებობს იმის ალბათობაც, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ამ ცვლილებების შემდეგ, პარტიებმა შესაძლოა პრიორიტეტი ერთ მაჟორიტარს მიანიჭონ, არჩევნებზე მხოლოდ ის ერთი „გაქაჩონ“ და მის ხარჯზე სახელმწიფო დაფინანსებაც მიიღონ.

შეგახსენებთ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან კვალიფიციური სუბიექტები, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო ან თვითმმართველობის არჩევნებში ხმების, მინიმუმ, 3% აიღო. კვალიფიციური სუბიექტები დაფინანსებას ინარჩუნებენ შემდეგ არჩევნებამდე. ყოველწლიური დაფინანსება სპეციალური ფორმულით განისაზღვრება, რომლის თანახმადაც, საბაზო დაფინანსება 300.000 ლარს შეადგენს, ამას ემატება პარლამენტში მიღებული მანდატებისა და არჩევნებში მიღებული ხმების შესაბამისად დამატებითი თანხები. თუ პარტიამ ხმების 6% აიღო, მაშინ ის საბაზო დაფინანსების ორმაგ ოდენობას, 600.000 ლარს იღებს ყოველწლიურად. თუ პარტია საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული სისტემით ხმების, მინიმუმ, 5%– ს მიიღებს, მაშინ მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად უნაზღაურდება საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯი არაუმეტეს მილიონი ლარის ოდენობით.

ახალი ცვლილებით კი პარტია, რომელსაც პარლამენტში მხოლოდ ერთი მაჟორიტარი დეპუტატი ჰყავს, ყოველწლიურ სახელმწიფო დაფინანსებას – 300 ათას ლარს მაინც მიიღებს.

# პირველად ქართულ საბანკო სივრცეში

### უნიკალური და განუმეორებელი შანსი „ვითიბი ბანკის“ მსესხებლებს, გაიუმჯობესონ საკრედიტო ისტორია

**ვითიბი ბანკმა საკრედიტო ისტორიის გასაუმჯობესებლად პრობლემური მომხმარებლისთვის უნიკალური შეთავაზება შეიმუშავა. წინადადება, რომელსაც თავისუფლად შეიძლება დავარქვათ უმნიშვნელოვანესი სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი, თითქმის სამი თვე მუშავდებოდა. იგი მსესხებელს საშუალებას აძლევს, გაიუმჯობესოს საკრედიტო ისტორია. ბანკის მიზანია, დაამყაროს მომხმარებელთან გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობა. პროექტი ერთჯერადად განხორციელდება და შეეხება მხოლოდ ვითიბი ბანკის იმ კლიენტებს, რომელთა პრობლემური სესხის ისტორია ორ და მეტ წელს ითვლის და უზრუნველყოფის გარეშეა გაცემული.**

**ასეთ მსესხებელთა რაოდენობა ვითიბი ბანკში დაახლოებით 12 ათასია. სწორედ მათ საშუალება ექნებათ, მიიღონ მნიშვნელოვანი დისკონტი (შეუმცირდეთ გადასახდელი თანხა) როგორც სესხის მიმდინარე (დარჩენილ) ძირზე, ასევე დარიცხულ პროცენტზე და შემდეგ მოახდინონ ბანკის მიმართ დარჩენილი დავალიანების სრული ანულირება და გაიუმჯობესონ (ფაქტობრივად, გაისუფთაონ) საკრედიტო ისტორია. მნიშვნელოვანი და უნიკალურია, რომ აქციის პერიოდში ამ სესხზე ვადაგადაცილების ჯარიმებისა და სხვა საურავების მოთხოვნა არ განხორციელდება. აღნიშნული წინადადება მოქმედებს ორი თვის განმავლობაში, 16 აპრილიდან 15 ივნისის ჩათვლით.**

ჩვეულებრივ, ნებისმიერი ბანკი სესხის გაცემისას გარკვეული კრიტერიუმებით აფასებს მსესხებლის გადახდისუნარიანობას, თუმცა სესხს ძალიან ბევრი კრედიტკომპანია სთავაზობს და ხშირად მომხმარებელი ერთ სესხს მეორეს ამატებს და შემდეგ მათი გადახდა უძნელდება. ეს ვადაგადაცილებასა და კრედიტინფოს ნეგატიურ ბაზაში მოხვედრას იწვევს. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად ვითიბი ბანკმა, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის კომპანიამ, საკუთარ 12 ათას კლიენტს სესხის, დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით ბანკის მიმართ არსებული დავალიანებების განულება და საკრედიტო ისტორიის გაუმჯობესება შესთავაზა.







ალსანიშნავია, რომ ქართულ საბანკო სივრცეში მსგავსი აქცია პირველად ხორციელდება.

პროექტი მედიასაზოგადოებას **ვითიბი ბანკის საცალო ბიზნესის დირექტორმა ვალერიან გაბუნიამ წარუდგინა:** „ჩვენი სურვილია, იმ ადამიანებს, რომელთაც 2 წელზე მეტია, რაც ბანკის მიმართ სამომხმარებლო ტიპის პრობლემური დავალიანება გააჩნიათ, შესაძლებლობა მივცეთ, გაიუმჯობესონ საკრედიტო ისტორია. ბანკის მიერ განხილულ იქნა 12 ათასამდე შემთხვევა, რომლებიც აკმაყოფილებდა პროექტის კრიტერიუმებს (2 წელზე მეტი ვადის სამომხმარებლო, პრობლემური სესხი გირაოს გარეშე). თითოეული კრედიტორისთვის დადგინდა კონკრეტული დისკონტი. საერთოდ, დისკონტი 30%-დან 90%-მდე მერყეობს, ხოლო ამ სესხების საშუალო სიდიდე 1500 ლარია. ბანკი არ გამოიყენებს ვადაგადაცილების ჯარიმისა და საურავების მოთხოვნის უფლებას, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს ბანკის მიმართ ვალდებულების დაფარვას. ეს უნიკალური შესაძლებლობაა მათთვის, ვისაც საკრედიტო ისტორიის გაუმჯობესების სურვილი აქვს. ამ კამპანიის წამოწყებით, რომელიც მხოლოდ 2 თვეს გრძელდება, ვითიბი ბანკი სცდება ტრადიციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებს და ხაზს უსვამს, რომ მისთვის ყველა მომხმარებელი თანაბრად მნიშვნელოვანია“, – განაცხადა მან.

ზოგადად, სესხის გადახდის დისციპლინა უნდა იყოს ისეთი, როგორიც მოთხოვნილია. როცა ზრდასრული ადამიანი სესხს იღებს, მას ამ სესხის დაფარვის პასუხისმგებლობა ეკისრება, – თვლიან ბანკში, – სწორედ ამიტომ აქცია ერთჯერადია და მოკლევადიანი – იგი მხოლოდ 2 თვის განმავლობაში გაგრძელდება. ვინც ამ პერიოდში შეძლებს და დისკონტის შემდეგ დარჩენილ თანხას დაფარავს, მას მეორე შანსი მიეცემა, მომავალში საჭიროებისას ნებისმიერ საფინანსო ინსტიტუტთან გააფორმოს საკრედიტო ხელშეკრულება.

ამასთანავე, ვითიბი ბანკი მუდმივად ზრუნავს მომხმარებლის ინფორმირებულობასა და საბანკო პროდუქტების მოხმარების ცოდნის გავრცელებაზე. ყველა ფილიალში ნახავთ სხვადასხვა სახის ბროშურებს, რომლებიც დაწვრილებით ხსნიან ამა თუ იმ სესხის რაობას, რისკებს, დაზღვევის მნიშვნელობას და ა.შ.

**ვალერიან გაბუნია:** „ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ მომხმარებელი ადრე არ ფლობდა საჭირო ცოდნას საბანკო პროდუქტებზე, 12 ათასამდე მომხმარებელს შანსს ვაძლევთ, გაიუმჯობესონ საკრედიტო ისტორია, მოახდინონ საკუთარი „საბანკო რეაბილიტაცია“. როგორც აღვნიშნე, ბანკმა დაწვრილებით შეისწავლა ყველა მათგანის ისტორია. აქ არ შედგება დამატებითი მოლაპარაკებები. შესაბამისი მსესხებლების ჩამონათვალი უკვე არსებობს. იდენტიფიკაციის შემდეგ ყოველ მათგანს პირდაპირ ეტყვიან, რა დისკონტი ეკუთვნის (30%-70%). დისკონტი სესხის ძირსა და პროცენტზე ვრცელდება. ვიღაცას შეიძლება მოუწიოს გაპრობლემებული (დარჩენილი) ძირისა და პროცენტის 70% გადახდა, ვიღაცას – მხოლოდ 10%-ის. გადასახდელი თანხა უნდა დაიფაროს ერთჯერადად. სრულად განულდება ყველა ჯარიმა და საურავი, რაც დარიცხულია ამ სესხებზე. შედეგად შეიცვლება მათი საბანკო სტატუსი – ნეგატიურიდან – ყოფილი ნეგატიურით, რაც შესაძლებლობას მისცემს მომხმარებელს, კვლავ ისარგებლოს საბანკო მომსახურებით“.

**ნანა ბანცაძე**

# თბილისში დიმიტრი ჭრელაშვილი და კახა ბეჟიტაშვილი დააკავეს, კახეთში — გივი ბეგიაშვილი

## მათ ევროპაში მყოფ კანონიერ ქურდებთან კავშირი ედებათ ბრალად



თბილისსა და კახეთში ერთდროულად კრიმინალური სამყაროს 3 წევრია დაკავებული, რომლებსაც აქტიური კავშირი ჰქონდათ ევროპაში მყოფ ქართველ კანონიერ ქურდებთან, მათგან დავალებებს იღებდნენ და „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ევროპოლთან დაწყებული ეფექტიანი თანამშრომლობის შედეგად კიდევ ერთი წარმატებული სპეცოპერაცია განახორციელა.

— ამჯერად სპეცოპერაცია საქართველოში ჩატარდა. ევროპოლთან შეთანხმებით, მიმდინარე წლის 19 აპრილს თბილისსა და კახეთში ერთდროულად კრიმინალური სამყაროს 3 წევრია დაკავებული, რომლებსაც აქტიური კავშირი ჰქონდათ ევროპაში მყოფ ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებთან, მათგან დავალებებს იღებდნენ და „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, წარსულში ნასამართლევი სამი პირი დააკავეს. თბილისში, მახათას აღმართის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაკავებულ იქნა 1989 წელს დაბადებული დიმიტრი ჭრელაშვილი; სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში – 1973 წელს დაბადებული გივი ბეგიაშვილი; თბილისში, მუხიანის მე-3 მიკრორაიონში კი – 1993 წელს დაბადებული კახა ბეჟიტაშვილი.

ბრალდებულები აღიარებენ „ქურდულ სამყაროს“. ისინი მონაწილეობდნენ „ქურდულ გარჩევებში“ და აქტიური კავშირი ჰქონდათ ევროპაში მყოფ ქართველ კანონიერ ქურდებთან – მალხაზ ზედელაშვილთან, კახა შავლიაშვილთან, აბესალომ პაპიაშვილთან და გიორგი ხატიაშვილთან, – განაცხადა ჭელიძემ.

მისი ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯგუფის სამივე წევრმა ერთ-ერთ მოქალაქეს ქურდული გარჩევა მოუწყო, ოჯახის წევრებისა და ქონების განადგურების მუქარით 60.000 ლარის გადახდა მოსთხოვეს.

— გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223 პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდული სამყაროს წევრობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ევროპოლთან აქტიურ თანამშრომლობას და ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ინტენსიურ ღონისძიებებს.

ქურდულ სამყაროსთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელსაც საქართველოს პარლამენტმა გუშინ ერთხმად დაუჭირა მხარი და მესამე მოსმენით დაამტკიცა.

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ორგანიზებული დანაშაულის, ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლა მკაცრდება და დანაშაულად ცხადდება მთელი რიგი ქმედებები, რომლებიც აქამდე სისხლის სამართლის წესით არ ისჯებოდა, კერძოდ: ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა, ქურდული შეკრების ორგანიზება, ქურდული სამყაროს წევრისთვის ან კანონიერი ქურდისთვის მიმართვა, – აღნიშნა ჭელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## „ეს კობა ნარჩემაშვილს ჰკითხეთ“ — რატომ აარჩიეს გიორგი სანაიას მკვლელად „გრიცკო“



— თუკი გიორგი სანაიას მკვლელობა დაგეგმილი იყო, რატომ აარჩიეს მკვლელად „გრიცკო“? – ამ კითხვის პასუხად პოლიციის გენერალმა სოსო ალავიძემ განაცხადა:

— ეს კობა ნარჩემაშვილს ჰკითხეთ. მე არ მაქვს ინფორმაცია, კობა ნარჩემაშვილს რა ვერსიაც მიაწოდეს და მე ვფიქრობ, იხსნებოდა ამით საქმე, გაჰყვა ამ ვერსიას. პირველი მე შევედი ცხონებული გიორგის ოთახში, დამხვდა მიცვალებული, ოღონდ უხერხული არაფერი მინახავს. უხერხულობა ის იყო, რომ მოკლეს ახალგაზრდა კაცი.

მოკლეს თუ არა ნუგზარ საჯაია? – ალავიძე ამბობს, რომ საჯაია თავს არ მოიკლავდა.

– მე მას ვიცნობდი პირადად. მაშინაც კობა ნარჩემაშვილი იყო უკვე. ჩემი ვარაუდით, ის თავს არ მოიკლავდა, შეიძლება, შემთხვევითობა იყო, შეიძლება განზრახვა, – განაცხადა სოსო ალავიძემ გადაცემაში ,,ინტერვიუ ვანიჩკასთან“.

## დიანა ბერიძის მკვლელ ქირურგს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა



თესალონიკის სასამართლომ 38 წლის ქირურგს საბოლოო განაჩენი გამოუტანა. ის 36 წლის ქართველი ემიგრანტის, დიანა ბერიძის მკვლელობაში ბრალდებულად ცნეს. მან განაჩენი რეაქციის გარეშე მოისმინა.

კერძოდ, 2017 წლის აპრილში დიანა ბერიძე თესალონიკში, იპოკრატიოს საავადმყოფოში მცირე ოპერაციის გასაკეთებლად მივიდა, საიდანაც ცოცხალმა ველარ გამოაღწია. ვარიკოზული ვენების მოსაშორებელი პროცესი ფატალურად დასრულდა, ხოლო ექიმმა მისი გვამის მოშორება გადაწყვიტა.

როგორც გაირკვა, დიანა ბერიძისთვის ანესთეზიის გაკეთება აუცილებელი არ იყო. მისი სიკვდილი სუნთქვის დათრგუნვამ გამოიწვია.

როგორც ბრალდებული აცხადებს, ქალის სხეული იმიტომ მოიშორა, რომ პანიკაში ჩავარდა და იმ მომენტშიც, დასახმარებლად ვერავის დაუძახა, რადგან ძალიან შეეშინდა:

— იმ დროს სხვა ადამიანი ვიყავი. ვერ შევეგუე, რაც მოხდა, მანქანაში ჩავჯექი და წავედი. კონტროლი მქონდა დაკარგული.

პროკურორმა კი მის ქმედებებს პანიკის ნაცვლად, წინასწარ განზრახული მკვლელობა უწოდა, ვინაიდან მან ამ ყველაფრისთვის ფონიც კი მოამზადა.

საბოლოო ჯამში, 38 წლის ქირურგს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ბრალდებულმა განაჩენი რეაქციის გარეშე მოისმინა და, უბრალოდ, თავი ჩაღუნა. ამის შემდეგ კი ის ციხეში გადაიყვანეს.

**გეორგიანს.გრ.**

## ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულები პატიმრობაში რჩებიან

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულები პატიმრობაში რჩებიან. მოსამართლემ სამ ბრალდებულთან მიმართებაში, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვთ შეფარდებული, ძალაში დატოვა პირველი წარდგენის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება. დაცვის მხარე ბრალდებულების გირაოს საფუძველზე გათავისუფლებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ არ გაიზიარა ადვოკატების პოზიცია და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება ძალაში დატოვა.

პროცესზე ასევე ბრალდების მხარემ საკუთარი მტკიცებულებების გამოკვლევა დაიწყო. კერძოდ, პროცესზე საქმის გამომძიებელი დაიკითხა.

აღნიშნულ საქმეზე მომდევნო სხდომა 2 მაისს დაინიშნა, რომელზეც სახელმწიფო ბრალდება კვლავ საკუთარ მტკიცებულებებს გამოიკვლევს.

შეგახსენებთ, რომ ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდი 2017 წლის 1-ლ დეკემბერს დაჭრეს. ერთი მოზარდი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, მეორე მოზარდი კი, ექიმების მცდელობისა და რამდენიმე ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, 2 დეკემბერს, საავადმყოფოში დაიღუპა.

## სუს–მა შპს „მოხელეს“ დირექტორი და დამფუძნებელი თემურ ფ. დააკავა

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტებზე ერთი პირი დააკავა.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტებზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, შპს „მოხელეს“ დირექტორი და დამფუძნებელი თემურ ფ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თემურ ფ-მ მოტყუების გზით, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 14.302,96 ლარი. მან 2017 წლის 14 აგვისტოს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ქ. გურჯაანში, სარაჯიშვილის ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებაზე გურჯაანის მუნიციპალიტეტში წარდგენილ აქტებში ყალბი მონაცემები შეიტანა.

გამოძიება დიდი ოდენობით თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტებზე მიმდინარეობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით და 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით), რაც სასჯელის სახით ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამავე საქმეზე 2018 წლის 21 მარტს სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე პასუხისგებაში მიეცა გურჯაანის მერიის ყოფილი და მოქმედი შვიდი თანამშრომელი: დიმიტრი კ., ნოდარ შ.,, დურმიშხან ა., თეიმურაზ ბ., გიორგი ა., ივანე ქ. და დიმიტრი ა., რომლებმაც სამუშაოების შემოწმებისას არაჯეროვნად შეასრულეს სამსახურებრივი მოვალეობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო.



გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს. ბრალდებულს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა“ – აღნიშნულია სუს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



## რუსთავში ბარიდან 1 კასრი ლუდი მოიპარეს

რუსთავში ბოსტანქალაქის ქუჩაზე ლუდის ბარი გაქურდეს. შემთხვევა 17 აპრილს, ღამით მოხდა. უცნობმა პირებმა ობიექტში შეღწევა მინის ჩამსხვრევით მოახერხეს.

ბარში თანხა არ ინახებოდა. ადგილობრივების ინფორმაციით, ობიექტიდან ერთი კასრი ლუდია წაღებული.

ადგილზე კრიმინალური პოლიცია მუშაობდა. მომხდარის დეტალებს გამოძიება დაადგენს.

**ინფორუსთავი**





## კასპში ძმამ 26 წლის ძმა მოკლა

კასპში ძმამ 26 წლის ძმა მოკლა.

წინასწარი ინფორმაციით, ბრალდებულმა დანით ჭრილობა ყელის არეში ძმას მიაყენა.

შემთხვევა 18 აპრილს, ღამით, ქეჩარუხის დასახლებაში მოხდა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს. ბრალდებული ნასამართლევი იყო.

# სახელმწიფო დეპარტამენტი: სირიაში რამდენიმე ასეული რუსი დაქირავებული დაიღუპა




აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მიტჩელმა განაცხადა, რომ რუსმა დაქირავებულებმა ამერიკელ სამხედროებზე იერიშის მიტანა რამდენიმეჯერ ცადეს. შეტევა მოგერიებულ იქნა. რუსებმა დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან. ამერიკელ სამხედროებს შორის მსხვერპლი არ არის.

– ამერიკელ ჯარისკაცებზე შეტევას სამასზე მეტი რუსი დაქირავებული შეეწირა! – ამბობს მიტჩელი.

ამავე დროს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ხაზი გაუსვა, რომ რუსების მიერ ამერიკელებზე შეტევების განხორციელების მცდელობა რუსეთ-დასავლეთს შორის შეიარაღებული კონფრონტაციის საფრთხეს ზრდის.

– ეს, ფაქტობრივად, რუსეთსა და დასავლეთს შორის კონფრონტაციაა! – თქვა მიტჩელმა.

# ბრიტანეთმა სკრიპალების მოწამვლა კვლავ რუსეთს დააბრალა



პიტერ უილსონი ქიმიური იარაღის ამკრძალავ საერთაშორისო ორგანიზაციაში დიდ ბრიტანეთს წარმოადგენს. მან კვლავ განაცხადა, რომ გრუ-ს ყოფილი ოფიცერი სკრიპალი და მისი ქალიშვილი იულია რუსებმა მოწამლეს.

– საქმე მხოლოდ ის როდია, რომ რუსეთს გააჩნდა საშუალებები, რათა ეს განეხორციელებინა! არსებობს უტყუარი სამხილი იმისა, რომ ეს რუსებმა გააკეთეს, – თქვა უილსონმა.

ამ გამოსვლამ მოსკოვი აღაშფოთა. რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში ნებენზიამ განაცხადა, რომ დასავლეთი რუსებს არ უსმენს.

– ჩვენი ყველა არგუმენტი უგულებელყოფილია! ვრცელდება ზღაპრები ლუის კეროლის ტრადიციების სრული დაცვით, – ამბობს ნებენზია.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი უფრო შორს წავიდა და პირდაპირ მუქარასაც არ მოერიდა:

– ბრიტანეთმა წითელი ხაზი გადაკვეთა! რუსეთზე ცილისწამებისათვის პასუხისგება მოუწევს, – თქვა ლავროვმა.

სკრიპალების საქმე გაეროს უშიშროების საბჭოს განხილვის საგანი გახდა. ბრიტანეთმა წარმოადგინა საბუთები იმისა, რომ აქცია რუსულმა სპეცსამსახურებმა განახორციელეს. მიუხედავად ამისა, კრემლის პოზიცია უცვლელია:

– ჩვენ ცილს გვწამებენ და ამისთვის ყველას პასუხს მოვთხოვთ! – ამბობს ლავროვი.

# იტალიის პოლიციამ „კოზა ნოსტრას“ 22 წევრი დააკავა




იტალიის პოლიციის სპეციალურმა ქვედანაყოფებმა სიცილიაზე, ტრაპანის პროვინციაში, მაფიის წინააღმდეგ ჩატარებული ფართომასშტაბიანი ოპერაციის ფარგლებში „კოზა ნოსტრას“ ლიდერ მატეო მესინა დენაროს გარემოცვის 22 წევრი დააკავა.

ოპერაცია ქალაქ პალერმოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველომ ჩაატარა. პალერმოს პროკურატურის წარმომადგენლის განცხადებით, გამოძიებამ „კოზა ნოსტრას“ ცალკეულ ლიდერებს შორის კავშირის არხები გამოავლინა და მოიპოვა ე.წ. დაშიფრული გზავნილები, რომლებსაც დენარო მაფიის სხვა ლიდერებს უგზავნიდა.

56 წლის მატეო მესინა დენარო, მეტსახელად „მჭლე“, ძებნაში მყოფი მსოფლიოს ათი ყველაზე საშიში დამნაშავის სიაში შედის. მრავალი წლის განმავლობაში ის სიციალიაში მოქმედ რამდენიმე გავლენიან დანაშაულებრივ დაჯგუფებას მეთაურობს. 2006 წლის აპრილში „კოზა ნოსტრას“ „ნათლიმამის“ ბერნარდო პროვენცანოს დაკავების შემდეგ დენარო დაჯგუფების ახალი ლიდერი გახდა.

# ირანში მიწისძვრა მოხდა



სამხრეთ ირანის ტერიტორიაზე 5.9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა. რყევები იგრძნობოდა ბაჰრეინსა და სპარსეთის ყურის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მიწისძვრა ბუშერის აღმოსავლეთით, ბუშერის ატომურ ელექტროსადგურთან მოხდა. ეს ერთადერთი მოქმედი ელექტროსადგურია ირანში.

ირანის სახელმწიფო ტელევიზიის ინფორმაციით, მიწისძვრა 5,9 მაგნიტუდის სიმძლავრის იყო. ბუშერის ელექტროსადგური არ დაზიანებულა.

2003 წელს ირანში 6,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას 26.000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაინგრა ისტორიული ქალაქი ბამი. ბამი ბუშერის ელექტროსადგურთან ახლოს მდებარეობს.

ნოემბერში 7,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას ირანისა და ერაყის საზღვარზე 530 ადამიანი ემსხვერპლა.



# ტრამპი და კიმ ჩენ ინი ერთმანეთს შესაძლოა შვეიცარიაში შეხვდნენ

აშშ-ის ხელისუფლება დონალდ ტრამპისა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინის შეხვედრის ადგილად ევროპის ქვეყნებს, კერძოდ, შვეიცარიას განიხილავს.

რამდენიმე ვარიანტს შორის, რომლებიც ტრამპისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრის ადგილად განიხილებოდა, გამოირიცხა ფხენიანი, პეკინი, მონღოლეთი, ასევე ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მდებარე სოფელი ფხანმუნჯონი, სადაც 1953 წელს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის.

# სირიაში გერმანელი ჯიჰადისტი დააკავეს



სირიაში ცნობილი ჯიჰადისტი მუჰამედ ჰეიდა ზამერი დააკავეს. ეროვნებით გერმანელმა და გერმანიის მოქალაქემ მიიღო ისლამი და ტერორისტებს დაუკავშირდა.

ზამერი რიგ ტერაქტში, მათ შორის აშშ-ის ტერიტორიაზე განხორციელებულ აქციებშია გარეული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# კაქტუსმა რუსთავი დაამარცხა, დინამომ — მგზავრები

**კაქტუსი-რუსთავი 90:88**

(18:14, 21:34, 21:18, 30:22)

ეს გუნდები მაღალი ადგილებისთვის უშუალო კონკურენტები არიან და მატჩიც ძალიან დაძაბული გამოდგა. ბოლო წამამდე გაურკვეველი იყო, ვინ მოიგებდა და, საფინალო სირენა რომ გაისმა, ანგარიშში ორქულიანი სხვაობა დაფიქსირდა – 90:88 გაიმარჯვა კაქტუსმა, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში მაღალ ადგილზე დასრულების გზაზე სოლიდური ნაბიჯი გადადგა.

არადა, მატჩის უმეტეს დროს რუსთაველები იგებდნენ, რომელთა რიგებშიც დებიუტი ჰქონდა ჰოლანდიელ ცენტრ ქრეიგ ოსაიქიუოუენსს. ტანმაღალმა მოთამაშემ რუსთაველებს ფარქვეშ პოზიცია გაუმყარა, თუმცა ამ შეხვედრაშიც ქვემოქართლელთა მთავარი დამრტყმელი ძალა უკანა ხაზი იყო. სანამ რეზო ჩაჩანიძე, ბრაიან ბერნარდი, ლევან ცეკვავა და ადამ ბლეიზეკი პერიმეტრიდან შედეგიანად უტევდნენ, რუსთაველებს არ უჭირდათ.

მართალია, პირველი პერიოდი ქვემოქართლელებმა 14:18 წააგეს, თუმცა მეორეში გაილაღეს და ათწუთეულის 34:21 მოგებით დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. კაქტუსელებმა ჩამორჩენის გაბათილება იწყეს, რაშიც შეუდარებელი იყო დეანდრე პარკსი. ამერიკელი უკანახაზელი სწრაფი გარღვევებით ქულას ქულაზე იხვეჭდა, მას ბოლო პერიოდში ხელი დავით ლომიძემ და გიორგი ტურპინი გამოირჩნენ. 12 ქულა დააგროვა გიორგი შარაბიძემ, ხოლო 11 – ალექსანდრ მიტროვიჩმა. 10 ქულა შესძინა დინამოელებს რეივენ ლიმ. მგზავრებში 17 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო ადრიან ბოუი. 15 ქულა ტეილორ სტეფორდმა მოაგროვა, ხოლო ბერნარდ ნკალიმ მგზავრებს 7 ქულა და 11 მოხსნა შესძინა.

**ოლიმპი-ბათუმი 67:64**

(19:12, 18:20, 19:14, 11:18)

ერთმანეთს ცხრილში გვერდიგვერდ მყოფი გუნდები შეხვდნენ. ორივე გუნდისთვის გადაწყვეტილია, რომ რეგულარულ სეზონს ზედა ოთხეულში ვერ დაასრულებენ, შესაბამისად, პლეი ოფის პირველ წრეში მოედნის უპირატესობა არ ექნებათ და ამ შეხვედრას უფრო დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. კარსმომდგარი პრინციპული საპლეიოფო ბრძოლებისთვის ბათუმიც და ოლიმპიც გამალებით ემზადება და ამ დაპირისპირებაში გუნდებმა არაერთი კომბინაცია და დაცვითი ტაქტიკა დაამუშავეს.

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა. მანამდე კი უმეტესად ოლიმპი იგებდა, რომლის მოთამაშეებიც უფრო სხარტად და ზუსტად თამაშობდნენ. პირველი პერიოდი თბილისელებმა 19:12 მოიგეს, დიდი შესვენებისთვის კი მასპინძელთა ლიდერობა 5 ქულას შეადგენდა.

ოლიმპის უპირატესობა მესამე პერიოდში 10 ქულამდე გაიზარდა და



ძილაძემ შეაშველეს. პირველი სამქულიანებით, ხოლო ტურძილაძე შედეგიანი ფარქვეშა სროლებით დიდად დაეხმარნენ თავის გუნდს ბოლო წუთზე გალიდერებულიყო – 87:86. დარჩენილ დროში ტაქტიკური ჯარიმებით რუსთაველებმა იმდენი მოახერხეს, რომ 2 ქულით (88:90) ჩამორჩენილებმა ბოლო შეტევა მოიპოვეს, თუმცა ბურთი უხეიროდ გამოიტანეს და ის 3 წამი გაფლანგეს, რომელიც მატჩის გადასარჩენად ჰქონდათ.

კაქტუსში 33 ქულით საუკეთესო იყო დეანდრე პარკსი. 15 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა გიორგი ტურძილაძემ, ხოლო დავით ლომიძემ შეხვედრა 14 ქულით დაასრულა. რუსთავში 23 ქულით საუკეთესო იყო ლევან ცეკვავა. 16 ქულა ბრაიან ბერნარდიმ მოიპოვა, ხოლო ტაირელ ნელსონის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა.

**მგზავრები-დინამო 60:75**

(17:21, 15:16, 18:15, 10:23)

მიუხედავად იმისა, რომ ცხრილში დინამოზე გვარიანად დაბლაა, ამ გუნდების 3 მატჩიდან 2 მგზავრებს ჰქონდა მოგებული. უხერხულ მეტოქესთან მატჩი მოქმედმა ჩემპიონმა შედეგიანად ჩაატარა და საბოლოოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა – 75:60.

უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილ გუნდს იოლად არ მოუგია. პირველი ნახევრის 32:37 წაგების შემდეგ, ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილი მგზავრები დაწინაურდნენ. მესამე პერიოდის შუაწელში თანაბარი ბრძოლა მიდიოდა: ხან ერთი გუნდი გალიდერდებოდა, ხან – მეორე. ბოლო პერიოდის წინ დინამო 2 ქულით იგებდა, თუმცა დასკვნითი ათწუთეული მოწოდების სიმაღლეზე ჩაატარა – გუნდური და რაც მთავარია, შედეგიანი თამაშის შედეგად მოქმედმა ჩემპიონებმა ხელჩასაჭიდი, 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და თამაში გამარჯვებამდე აუღელვებლად მიიყვანეს.

დინამოში ერთბაშად 5-მა მოთამაშემ უწია 10-ქულიან ზღვარს. 14-14 ქულით ილია ლონდარიძე და კაელ თითქოს აჭარული კლუბი განწირული ჩანდა, მაგრამ ერიკ ჩილდრესისა და სპენსერ კოლინსის შედეგიანობით ბათუმელებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს. ეს მოხდა მეოთხე პერიოდში, საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე, რის შემდეგაც ოლიმპელებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ და დარჩენილი დროში მოსაგებად სამყოფ ლიდერობას მიაღწიეს. საბოლოოდ მასპინძლებმა 3 ქულით – 67:64 გაიმარჯვეს.

ოლიმპში 18 ქულითა და 7 მოხსნით საუკეთესო იყო მორის ჰილი. 13 ქულა დააგროვა გივი ბაქრაძემ, ხოლო 12– მიხეილ ჭოჭუამ. ბათუმში 22 ქულით საუკეთესო გახლდათ ერიკ ჩილდრესი, 15 ქულა მიითვალა სპენსერ კოლინსმა.

**სოხუმი-ქუთაისი 66:110**

(17:40, 23:13, 12:26, 14:31)

ერთმანეთს ცხრილის სხვადასხვა პოლუსზე მყოფი გუნდები – ლიდერი ქუთაისი და ბოლოადგილოსანი სოხუმი შეხვდნენ. მატჩის შედეგი წინდაწინ ცნობილი იყო. ქუთაისელები რეგულარული ჩემპიონატის მოგებას გეგმავენ და მიზანთან ახლოსაც არიან. შესაბამისად, აუტსაიდერთან იოლი მოგების შანსი იმერულმა კლუბმა ხელიდან არ გაუშვა.

შეხვედრა ქუთაისმა 110:66 მოიგო და დარჩენილ 3 ტურში 2 გამარჯვება სჭირდება რეგულარული ჩემპიონატის მოსაგებად.

იმერულ კლუბს 26 ქულით ჯონათან ლიმ ულიდერა. 19 ქულა მოაგროვა ბექა ბექაურმა, ხოლო აკაკი დვალიშვილის ანგარიშზე ორმაგი დუბლი – 15 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. სოხუმში 21 ქულით საუკეთესო იყო ლევან რევაზაშვილი. 15 ქულა და 12 მოხსნა სერგო ათუაშვილმა მიითვალა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 29 | 20 | 9 | 2451:2205 | 49 |
| 2.დინამო | 29 | 19 | 10 | 2419:2214 | 48 |
| 3.კაქტუსი | 29 | 19 | 10 | 2400:2339 | 48 |
| 4.რუსთავი | 29 | 18 | 11 | 2367:2266 | 47 |
| 5.ბათუმი | 30 | 16 | 14 | 2308:2176 | 46 |
| 6.ოლიმპი | 29 | 15 | 14 | 2252:2186 | 44 |
| 7.მგზავრები | 29 | 13 | 16 | 2285:2389 | 42 |
| 8.დელტა | 28 | 10 | 18 | 2275:2369 | 38 |
| 9.სოხუმი | 30 | 1 | 29 | 2202:2815 | 31 |

# ლოთარ მათეუსი: „როცა ბეკენბაუერი ლიფტში შევიდა, მანჩესტერს 1:0-ს ვუგებდით, გამოვიდა და 1:2-ს ვაგებდით"

მიუნხენის ბაიერნის ყოფილმა კაპიტანმა, ლეგენდარულმა ლოთარ მათეუსმა, ერთ-ერთ საფეხბურთო გამოცემასთან გრძელი და უაღრესად საინტერესო ინტერვიუ ჩაწერა, რომელშიც 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალსა და ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მოგების უკანასკნელ შესაძლებლობაზე ისაუბრა.

1999 წლის ფინალი არის მატჩი, რომელიც „რეკორდმაისტერისა" და სრულიად ფეხბურთის გულშემატკივარს არასოდეს დაავიწყდება, მაგრამ ბაიერნის შემთხვევაში ეს ლეგენდარული თამაში მხოლოდ ნეგატივთან და უდიდეს ტკივილთან არის დაკავშირებული.

ოტმარ ჰიცტფელდის ბრწყინვალე გუნდმა, რომელმაც სერ ალექს ფერგიუსონის მანჩესტერ იუნაიტედი მთელი 90 წუთი დაჩაგრა, გამარჯვება მსაჯის მიერ კომპენსირებულ 3 წუთში გაუშვა ხელიდან – 1:2 და მათეუსიც ჩემპიონთა ლიგის ტიტულის გარეშე დარჩა.

გთავაზობთ ლეგენდარული გერმანელის, რომელმაც 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატი და ოქროს ბურთი მოიგო, თვალით დანახულ 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალს:

**ლოთარ მათეუსი:**

– ჩემპიონთა ლიგის ფინალში მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ 1:0 ვიგებდით, როდესაც პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი „კამპ ნოუს" ლიფტში შევიდა. ერთი წუთის შემდეგ, როდესაც ლიფტიდან გამოვიდა და მოედანს მიუახლოვდა, ტაბლოზე ანგარიში 2:1 იყო იუნაიტედის სასარგებლოდ. მან დაცვის ბიჭს უთხრა – ეს რა არის? ხუმრობაა? ბაიერნი 1:0 იგებდა. ეს შეცდომაა. დაცვის ბიჭმა მას უთხრა, რომ მანჩესტერელებმა 2 გოლი გაიტანეს, მაგრამ ფრანცმა უპასუხა – არა, ამას ვერ დავიჯერებ. მათ არცერთი გოლი არ გაუტანიათ. მოგვიანებით მას ამის დაჯერება მოუწია, მანჩესტერ იუნაიტედმა მართლაც 2 გოლი გაიტანა იმ ერთ წუთში, რომელიც ბეკენბაუერმა ლიფტში გაატარა...

ფეხბურთში 1999 წლის საღამოზე უარესი გრძნობები არასოდეს მქონია. კარიერაში რამდენიმე ტიტული მაქვს წაგებული: წაგება გარდაუვალია და ეს არასოდეს არის მშვენიერი. თუმცა გაცილებით მძიმე იყო ის, თუ როგორ წავაგეთ მაშინ ჩემპიონთა ლიგის ფინალი. სწორედ ამან გამაბრაზა და არა უბრალოდ მარცხმა.

იუნაიტედს დიდ პატივს ვცემდით. მათ დიდებული მოთამაშეები და დიდებული მწვრთნელი ჰყავდათ. იმ სეზონში ჩვენ 3 მცველით ვთამაშობდით, ცენტრში მე და გვერდებზე სამუელ კუფური და თომას ლინკე იყვნენ. თუმცა ფინალისთვის ტაქტიკური ცვლილება განვახორციელეთ. დევიდ ბექჰემი მარჯვენა ფლანგის მაგივრად მოედნის ცენტრში თამაშობ



და, ვინაიდან როი კინი და პოლ სქოულზი დისკვალიფიკაცირებულნი იყვნენ. ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა, ჰიტცფელდმა, მითხრა, რომ ცენტრში ბექჰემის წინააღმდეგ უნდა მეთამაშა.

მარიო ბასლერმა წინ გაგვიყვანა და მთელი 90 წუთის განმავლობაში ვდომინირებდით. იუნაიტედის შეტევა 90 წუთის განმავლობაში უბრალოდ არ არსებობდა. მათ ზუსტი დარტყმაც კი არ ჰქონიათ.

მაშინ 38 წლის ვიყავი და 75 წუთის შემდეგ მწვრთნელს ვუთხარი, რომ თავს გადაღლილად ვგრძნობდი. მოედნის ცენტრში თამაშის გამო ძალიან ბევრი სირბილი მომიწია, რასაც არ ვიყავი მიჩვეული. მე მისთვის მოედნის დატოვება არ მითხოვია, უბრალოდ ვუთხარი, რომ დაღლილი ვიყავი, მაგრამ მას ეს გადაწყვეტილება ისედაც რომ მიეღო, დავეთანხმებოდი.

ოტმართან ნამდვილად კარგი ურთიერთობა მქონდა და ვფიქრობ, მისთვის ეს უნდა მეთქვა. შემდეგ კი არჩევანი თავად უნდა გაეკეთებინა. 10 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც მოედნიდან გამიყვანა. როდესაც ამას ვიხსენებთ, ეს მართლაც შეცდომა იყო, მაგრამ 1:0 რომ მოგვეგო, მაშინ სწორი იქნებოდა. ეს ყოველთვის შედეგზეა დამოკიდებული.

შესაძლოა ჩვენ მხოლოდ ცვლილებების დონის გამო არ წაგვიგია, შესაძლოა ჩვენ უბრალოდ მენტალიტეტი დავკარგეთ. შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედმა გაიფიქრია: უფ, ლოთარ მათეუსი აღარ არის მოედანზე, ამიტომ შეგვიძლია შევუტიოთ, მათ დაცვაში ძლიერი მენტალიტეტი, კაპიტანი აღარ ჰყავთ...

ჩვენ ზედმეტად ღრმად ჩავჯექით დაცვაში. შესაძლოა ზედმეტად დარწმუნებულები ვიყავით, რომ თამაში უკვე მოგებული გვქონდა. ბურთს ძალიან მარტივად ვკარგავდით და კუთხურებიც მარტივად მოვაპოვებინეთ. ვინ იცის, რომ არა კუთხურები, შესაძლოა მათ ის 2 გოლი ვერც გაიტანათ, მაგრამ ეს არავინ იცის.

იუნაიტედის შემთხვევაში დამატებით დროში 2 გოლის გატანა დაუჯერებელი იყო. ჩემს კიდევ ერთ ჩემპიონთა თასის ფინალშიც, 1987 წელს პორტუს წინააღმდეგ, ვიგებდით და საბოლოოდ 1:2 წავაგეთ. თუმცა მაშინ ბაიერნი მხოლოდ პირველი 45 წუთი დომინირებდა და საბოლოოდ, საუკეთესო გუნდმა იმარჯვა. მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ კი მთელი 90 წუთი ვდომინირებდით და სწორედ ამიტომ იყო ეს მარცხი გაცილებით მძიმე.

საფინალო სასტვენის შემდეგ ყველა იმედგაცრუებული იყო. მოთამაშეებს არ ესმოდათ, ფანებს არ ესმოდათ – მანჩესტერ იუნაიტედის ქომაგები ზეიმობდნენ და ჩვენი ფანები ტიროდნენ. ჩვენ ყველანი ავედით კვარცხლბეკზე მეორეადგილოსანის მედლის მისაღებად, მაგრამ ჩემსას ცერად შევხედე. ზედმეტად იმედგაცრუებული ვიყავი – რა უნდა გამეკეთებინა მეორე ადგილით? ეს ჩემი ბოლო შანსი იყო ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად. ბაიერნთან კონტრაქტი 2001 წლამდე მქონდა, მაგრამ ამ მატჩიდან რამდენიმე თვეში ბუნდესლიგაში სათამაშოდ აღარ ვიყავი მზად, ამიტომაც ამერიკაში მეტროსტარსს შევუერთდი.

ჩემპიონთა თასი არასოდეს მომიგია და ფანებს ამაზე საუბარი უყვართ. ჩემთვის ამ ტიტულით ცხოვრება ნამდვილად არ შეიცვლებოდა. ჩემპიონთა ლიგის ტიტული რომ მომეგო, დღეს განსხვავებული ცხოვრება არ მექნებოდა. საკმაოდ დიდი კარიერა მქონდა და ამით ბედნიერი ვარ. რა თქმა უნდა, მშვენიერია, როდესაც ყველაფერს იგებ, მაგრამ ზოგჯერ ეს შეუძლებელია. იმ საღამოს ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ ჩვენ – გუნდი და თავად მე ზედმეტად სულელები ვიყავით იმისათვის, რომ მოგვეგო.

მანჩესტერ იუნაიტედს უნდა მივულოცოთ. ეს თამაშის მეორე მხარე გახლავთ. ფეხბურთი მშვენიერი სპორტია, როდესაც უკეთესი გუნდი იმარჯვებს. მიუხედავად ამისა, ეს არის სპორტი, სადაც შესაძლოა 1999 წლის მსგავსი თამაშებიც გაიმართოს.

## შედეგები

**18 აპრილი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბორნმუთი-მანჩესტერი ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 33 | 28 | 3 | 2 | 93-25 | 87 |
| 2.მანჩესტერი | 34 | 23 | 5 | 6 | 65-26 | 74 |
| 3.ლივერპული | 34 | 20 | 10 | 4 | 78-35 | 70 |
| 4.ტოტენჰემი | 34 | 20 | 8 | 6 | 66-31 | 68 |
| 5.ჩელსი | 33 | 18 | 6 | 9 | 57-33 | 60 |
| 6.არსენალი | 33 | 16 | 6 | 11 | 62-45 | 54 |
| 7.ბარნლი | 33 | 14 | 10 | 9 | 33-29 | 52 |
| 8.ლესტერი | 33 | 11 | 10 | 12 | 49-47 | 43 |
| 9.ევერტონი | 34 | 11 | 9 | 14 | 39-54 | 42 |
| 10.ნიუკასლი | 33 | 11 | 8 | 14 | 35-42 | 41 |
| 11.ბორნმუთი | 35 | 9 | 11 | 15 | 41-58 | 38 |
| 12.უოტფორდი | 34 | 10 | 7 | 17 | 42-60 | 37 |
| 13.ბრაიტონი | 34 | 8 | 12 | 14 | 32-47 | 36 |
| 14.ვესტ ჰემი | 33 | 8 | 11 | 14 | 41-59 | 35 |
| 15.ჰადერსფილდი | 34 | 9 | 8 | 17 | 27-54 | 35 |
| 16.კრ.პალასი | 34 | 8 | 10 | 16 | 36-54 | 34 |
| 17.სუონსი | 33 | 8 | 9 | 16 | 27-46 | 33 |
| 18.საუთჰემპტონი | 33 | 5 | 13 | 15 | 33-53 | 28 |
| 19.სტოკი | 34 | 6 | 10 | 18 | 31-64 | 28 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 4 | 12 | 18 | 27-52 | 24 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-ხეტაფე ........ 1:2

ესპანიოლი-ეიბარი ........ 0:1

რეალი-ბილბაო ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 25 | 8 | 0 | 83-19 | 83 |
| 2.ატლეტიკო | 32 | 21 | 8 | 3 | 54-15 | 71 |
| 3.რეალი | 33 | 20 | 8 | 5 | 80-36 | 68 |
| 4.ვალენსია | 33 | 20 | 5 | 8 | 61-35 | 65 |
| 5.ბეტისი | 32 | 16 | 4 | 12 | 53-53 | 52 |
| 6.ვილიარეალი | 33 | 15 | 6 | 12 | 45-40 | 51 |
| 7.სევილია | 33 | 14 | 6 | 13 | 41-52 | 48 |
| 8.ხეტაფე | 33 | 12 | 9 | 12 | 38-31 | 45 |
| 9.ხირონა | 32 | 12 | 8 | 12 | 44-49 | 44 |
| 10.სელტა | 33 | 12 | 8 | 13 | 52-46 | 44 |
| 11.ეიბარი | 33 | 12 | 7 | 14 | 37-46 | 43 |
| 12.სოსიედადი | 32 | 11 | 7 | 14 | 57-52 | 40 |
| 13.ბილბაო | 33 | 9 | 13 | 11 | 36-39 | 40 |
| 14.ლეგანესი | 33 | 11 | 6 | 16 | 28-41 | 39 |
| 15.ალავესი | 32 | 12 | 2 | 18 | 29-45 | 38 |
| 16.ესპანიოლი | 33 | 8 | 12 | 13 | 26-40 | 36 |
| 17.ლევანტე | 32 | 6 | 13 | 13 | 28-48 | 31 |
| 18.დეპორტივო | 33 | 6 | 9 | 18 | 32-65 | 27 |
| 19.ლას პალმასი | 32 | 5 | 6 | 21 | 22-64 | 21 |
| 20.მალაგა | 32 | 4 | 5 | 23 | 20-50 | 17 |

**გერმანია. თასი**

შალკე-აინტრახტი ........ 0:1

**იტალია. სერია ა**

ბენევენტო-ატალანტა ........ 0:3

სამპდორია-ბოლონია ........ 1:0

სპალი-კიევო ........ 0:0

რომა-ჯენოა ........ 2:1

კროტონე-იუვენტუსი ........ 1:1

ტორინო-მილანი ........ 1:1

ვერონა-სასუოლო ........ 0:1

ნაპოლი-უდინეზე ........ 4:2

ფიორენტინა-ლაციო ........ 3:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 27 | 4 | 2 | 78-19 | 85 |
| 2.ნაპოლი | 33 | 25 | 6 | 2 | 70-23 | 81 |
| 3.რომა | 33 | 19 | 7 | 7 | 52-27 | 64 |
| 4.ლაციო | 33 | 19 | 7 | 7 | 79-43 | 64 |
| 5.ინტერი | 33 | 17 | 12 | 4 | 54-22 | 63 |
| 6.მილანი | 33 | 15 | 9 | 9 | 44-37 | 54 |
| 7.ატალანტა | 33 | 14 | 10 | 9 | 50-34 | 52 |
| 8.სამპდორია | 33 | 15 | 6 | 12 | 51-49 | 51 |
| 9.ფიორენტინა | 33 | 14 | 9 | 10 | 47-37 | 51 |
| 10.ტორინო | 33 | 11 | 14 | 8 | 47-39 | 47 |
| 11.ბოლონია | 33 | 11 | 5 | 17 | 37-44 | 38 |
| 12.ჯენოა | 33 | 10 | 8 | 15 | 26-33 | 38 |
| 13.სასუოლო | 33 | 8 | 10 | 15 | 24-53 | 34 |
| 14.უდინეზე | 33 | 10 | 3 | 20 | 42-54 | 33 |
| 15.კალიარი | 33 | 9 | 5 | 19 | 30-56 | 32 |
| 16.კიევო | 33 | 7 | 10 | 16 | 29-51 | 31 |
| 17.სპალი | 33 | 5 | 14 | 14 | 30-52 | 29 |
| 18.კროტონე | 33 | 7 | 7 | 19 | 30-58 | 28 |
| 19.ვერონა | 33 | 7 | 4 | 22 | 26-65 | 25 |
| 20.ბენევენტო | 33 | 4 | 2 | 27 | 28-78 | 14 |

**საფრანგეთი. თასი**

კანი-პსჟ ........ 1:3

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ალკმაარი-ვიტესი ........ 4:3

როდა-პსვ ........ 2:2

ექსელსიორი-ერაკლესი ........ 2:2

ტილბურგი-ფეიენოორდი ........ 1:5

სპარტა-ბრედა ........ 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ზენიტი-დინამო ........ 2:1

ლოკომოტივი-ახმატი ........ 0:0

ცსკა-ამკარი ........ 3:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

სტანდარდი-ანდერლეხტი ........ 2:1

ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი ........ 1:3

ლოკერენი-ოსტენდე ........ 2:2

ეუპენი-ანტვერპენი ........ 0:1

**საბერძნეთი. თასი**

აეკი-ლარისა ........ 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ნორდსიელანდი ........ 2:2

კოპენჰაგენი-ოლბორგი ........ 2:1

რანდერსი-ოდენსე ........ 1:1

**შვედეთი– ალსვენსკა**

კალმარი-ესტერსუნდი ........ 1:1

სირიუსი-ჰაკენი ........ 0:0

იორებრო-აიკი ........ 1:1

დიურგარდენი-მალმიო ........ 3:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-როვანიემი ........ 0:1

სეინეიოკი-კემი ........ 0:1

მოამზადა მიხეილ ყორღოლიანმა

# შენგელია და ბითაძე კლუბებში საუკეთესონი არიან

თორნიკე შენგელიას ბასკონია ევროლიგის პლეი ოფში ჩაება. მეოთხედფინალური სერიის პირველი შეხვედრა ესპანურმა გუნდმა თურქეთში, სტამბოლის ფენერბაჰჩესთან გამართა და, მიუხედავად ქართველი ფორვარდის შედეგიანობისა, ტურნირის მოქმედ ჩემპიონთან მარცხი განიცადა – 73:82.

შენგელია მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 25 წუთში 16 ქულა, 6 მოხსნა (4 შეტევაში), 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. თორნიკემ 10-დან 4 ორქულიანი და 8-ვე საჯარიმო ჩააგდო, 1 სამქულიანი ააცილა და სტუმართა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო. პლუს სარგებლიანობის კოეფიციენტიც საუკეთესო ჰქონდა – 19.

შეგახსენებთ, რომ სერია 3 მოგებამდე გრძელდება, მომდევნო შეხვედრა კი ისევ სტამბოლში 20 აპრილს გაიმართება.

მანუჩარ მარკოიშვილის რეჯო ემილია იტალიის ჩემპიონატს პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის. მას დარჩენილ 4 ტურში რაც შეიძლება მეტი ქულის მოგროვება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე 2 მოგებით წინ მყოფ მერვეადგილოსანს ვერ გაასწრებს.

რეჯოელებისთვის ოქროს ფასი ჰქონდა კრემონას ვანოლისთან გამარჯვებას. ეს გუნდი მათი უშუალო კონკურენტია და მას შემდეგ, რაც მანუს თანაკლუბელებმა 91:84 დაამარცხეს, ერთი მოგებითღა ჩამორჩებიან.

რეჯო ემილიას სადღეისოდ 11 მოგება და 15 წაგება აქვს, ვანოლის – 12 მოგება და 14 მარცხი, ხოლო მეშვიდე-მეცხრეადგილოსნებს (ვარეზე, სასარი, კანტუ) – 13-13 მოგება-წაგება.




პლეი ოფში საუკეთესო 8 გუნდი გადის.

კრემონელებთან მატჩში მხოლოდ 10 წუთი დაისვენა მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელმაც 30 წუთში 7 ქულა, 4 პასი და 1 მოხსნა გაიფორმა. ბომბარდირობა არავის დაუთმო მისმა ამერიკელმა თანაგუნდელმა ჯულიან რაითმა – 23 ქულა.

რეჯო ემილია მომდევნო მატჩს შინ ტორინოსთან გამართავს.

გვარიანი შესვენების შემდეგ გოგა ბითაძის მეგა ბიმაქსისთვის თამაშები განახლდა. კლუბმა, რომელიც ადრიატიკის ლიგის პლეი ოფში ვერ გავიდა, ამ ტურნირის დასრულებას დაელოდა და სერბეთის ჩემპიონატში ჩაება. დებულების თანახმად, სერბეთის ჩემპიონატში პირველ ეტაპზე 6 საუკეთესო გუნდი გამოვლინდა, რომლებსაც ადრიატიკის ლიგელები – ცრვენა ზვეზდა, პარტიზანი, ფმპ და მეგა ბიმაქსი დაემატნენ. 10 გუნდი 2 ჯგუფში განაწილდა და სერბეთის ჩემპიონის გამოსავლენი ბრძოლაც დაიწყო.

პირველ მატჩში ბითაძის გუნდი ტამისს შეხვდა და ქართველი ცენტრის დახმარებით 86:77 დაამარცხა. გოგა სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 25 წუთში 16 ქულა, 9 მოხსნა (6 შეტევაში), 4 პასი და 5 დაფარება მოაგროვა. გოგამ 14-დან 7 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამქულიანი ააცილა.

ბითაძის სარგებლიანობის კოეფიციენტი 23-ს გაუტოლდა და ამ შედეგით ის მატჩის საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

მეგა ბიმაქსი მომდევნო შეხვედრას ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტ ბელგრადის ცრვენა ზვეზდასთან გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ირლანდიელმა „აუტანელი“ სიდედრის გამო ცოლს უჩივლა



ირლანდიელმა საკუთარ ცოლს განუცხადა, რომ მას სიდედრის მათ სახლში ჩასახლების გამო ანგარიშს წარუდგენდა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

სასამართლოში, რომელიც ოჯახურ საქმეებს განიხილავს, მამაკაცმა აღნიშნა, რომ მისმა 78 წლის სიდედრმა „წესიერების ყველა ზღვარი“ მოშალა, როდესაც მათთან იმყოფებოდა. ირლანდიელმა მეუღლის დედა იმაში დაადანაშაულა, რომ ის მათ საძინებელში დაუკაკუნებლად საცვლების ამარა შედიოდა, მის კარადაში ადგილებს უცვლიდა წინდებს, საცვლებსა და პერანგებს, სანამ ის ბანაობდა.

– ეს ყოველივე უკვე მეტისმეტი იყო, – განაცხადა მამაკაცმა.

ასევე მან დაამატა, რომ სიდედრისთვის საუზმის, სადილისა და ვახშმის მომზადება უხდებოდა. ასევე მისთვის ამზადებდა მის საყვარელ ბისკვიტს ხერესით. მისი თქმით, სიდედრი მასთან ერთად ყოველთვის სვამდა ხერესს. მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა ის მომენტი, როდესაც ის დაახლოებით შუაღამისას კონცერტს უყურებდა, ხოლო სიდედრმა მას დაუყვირა, ვინაიდან, მისი თქმით, ტელევიზორის ხმა მას დაძინებაში ხელს უშლიდა.

ირლანდიელის თქმით, სიდედრის მათ სახლში ყოფნამ მისი ქორწინება დაანგრია დიდი ხარჯისა და გამუდმებული კამათის გამო, რომელიც მისი ქცევით იყო გამოწვეული. მან ასევე აღნიშნა, რომ 900 ევრო დახარჯა მცენარეებსა და ბუჩქებზე და რომლებიც სიდედრმა იმიტომ გადაყარა, რომ, უბრალოდ, არ მოეწონა.

ცოლი შეეცადა, მეუღლისთვის ძალადობის ბრალდება წაეყენებინა, რაზეც ირლანდიელმა უპასუხა, რომ ეს ყოველივე სიცრუე იყო. მან დაამატა, რომ ცოლისა და სიდედრისთვის ძვირფას საჩუქრებს ყიდულობდა და მათზე ზრუნავდა, მაგრამ ისინი „ნამდვილი მტაცებლები არიან“. მოსამართლემ ცოლის ბრალდება ძალადობის შესახებ უარყო მტკიცებულებების არარსებობის გამო.

# ამსტერდამში თვითმკვლელობის ჯიხური დადგეს

ამსტერდამში დამკრძალავი ინდუსტრიის გამოფენაზე წარმოადგინეს თვითმკვლელობისთვის განკუთვნილი მანქანის პროტოტიპი.



ეს მოწყობილობა ჰოლანდიელმა დიზაინერმა ალექსანდერ ბანიკმა და ავსტრალიელმა აქტივისტმა ფილიპ ნიჩკემ შექმნეს. ეს უკანასკნელი მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა ევთანაზიის ლეგალიზაციისთვის.

მანქანა შედგება საფუძვლისგან, სადაც აზოტის ავზია მოთავსებული და გასახსნელი კაფსულისგან, რომელშიც თვითმკვლელი თავსდება.

– ის იგრძნობს მსუბუქ თავბრუსხვევას, შემდეგ სწრაფად დაკარგავს გონებას და მოკვდება, – განმარტავს ნიჩკე.

გამომგონებლებს იმედი აქვთ, რომ წლის ბოლომდე მოქმედ მოწყობილობასაც დაამზადებენ. გამოფენაზე მხოლოდ მაკეტი და ვირტუალური ტური იყო წარმოდგენილი, რომელიც გეხმარებათ, თავი კაფსულაში შესული ადამიანის ადგილზე წარმოიდგინოთ.

ნიჩკე და ბანიკი მოწყობილობის ყველა ნახაზისა და საჭირო ინფორმაციის ინტერნეტში განთავსებას გეგმავენ, რომლებიც აუცილებელი იქნება ასეთი ჯიხურის დასამზადებლად.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# თაყვანისმცემლები ილონ მასკისთვის დივნის შესაძენად ფულს აგროვებენ

ილონ მასკის თაყვანისმცემლებმა ფული შეაგროვეს მისთვის ახალი დივნის შესაძენად. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

შემოწირულობის შეგროვების თაობაზე განცხადება კრაუდფანდინგურ ვებგვერდზე იქნა განთავსებული. ამის მიზეზი კი გახდა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში გასული სიუჟეტი, რომელშიც მასკმა აღიარა, რომ საწარმეო სირთულეების გამო ის მთელი დღეების განმავლობაში ვერ ახერხებს ტესლას ავტოქარხნიდან სახლში წასვლას და ზოგჯერ ოფისში უწევს ძილი. კომპანიის საკონფერენციო დარბაზში დგას დივანი, მაგრამ, მასკის თქმით, ის ისეთი ვიწრო და მოუხერხებელია, რომ ზოგჯერ პირდაპირ იატაკზე უწევს დაძინება.



– ჩვენ, როგორც საზოგადოება, ამას ვერ მოვითმენთ. მოდით, შევაგროვოთ თანხა და ილონს ახალი დივანი ვუყიდოთ, რომ მშვიდად დაიძინოს, – განაცხადა კრაუდფანდინგური კამპანიის შემქმნელმა, კალიფორნიელმა ბენ სალინსმა. ერთ დღე-ღამეში მის მოწოდებას 160 ადამიანი გამოეხმაურა, რომლებმაც მილიარდერისთვის ორი ათასზე მეტი დოლარი გაიღეს.

სალინსი აპირებს, ტვიტერით დაუკავშირდეს მასკს და საჩუქრის გადასაცემად შეხვედრის თაობაზე შეუთანხმდეს, ხოლო თუ მასკი არ გამოეხმაურება, მაშინ შეგროვილი თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

# ასტროპროგნოზი

## 20 აპრილისთვის



**ვერძი** – დაგროვილი საქმეების შესასრულებლად შესაფერისი დღეა. გამოიჩინეთ ინიციატივა. **კურო** – საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა რთულდება. ემოციების გამოხატვისაგან თავი შეიკავეთ. **ტყუპები** – ახლობლებისაგან დროებით თავი შორს დაიჭირეთ. აკონტროლეთ საკუთარი ქმედებები. **კირჩხიბი** – გადაწყვეტილებების მიღება და დასკვნების გამოტანა ნაადრევია. მეტი დაფიქრება გმართებთ. **ლომი** – შემოქმედებითი აქტიურობა სასურველია. შედეგი სასიამოვნო იქნება. **ქალწული** – ნუ მოინდომებთ წარმატების უცებ მოპოვებას. უმჯობესია, თუ დღეს სპორტით დაკავდებით. **სასწორი** – ახლობლები გაფასებენ. უერთგულეთ მათ. სიამაყე და პატივმოყვარეობა დათრგუნეთ. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო ენერგია მცირდება. ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ, იმოგზაურეთ. ახალი შთაბეჭდილებები ენერგიის წყაროა. **თხის რქა** – გაიკაჟეთ ჯანმრთელობა. საკუთარი პოზიციები განუხრელად დაიცავით. **მერწყული** – პროფესიულ საქმიანობაში მობილიზება გმართებთ. იზრუნეთ ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. **თევზები** – გარემოს შეცვლა და სიახლის შეგრძნება უარყოფითი ემოციებისგან გაგათავისუფლებთ. საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი გულისხმიერება და ყურადღება გამოიჩინეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 2. ეგვიპტის ნახევარკუნძული წითელ ზღვაში; 3. „ფიატის“ დამფუძნებელთა და მფლობელთა გვარი; 4. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 6. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 9. ხურდა ფული საქართველოში; 11. სომეხთა მღვდელი; 15. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 16. ქართულ ბალეტ „გორდას“ პერსონაჟი; 17. თევზის ქვირითისაგან მომზადებული ძვირფასი საკვები პროდუქტი; 19. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. სოფლის შარაგზა; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

**თარაზულად**: 5. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 7. მიკროსკოპის ნაწილი; 8. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 10. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ვრცელი, უტყეო ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 14. ქართველი ტელეჟურნალისტი, მწერალი ქალი; 18. პურეული მცენარე; 20. სათამაშო სახლი; 23. მდინარის, მაგისტრალის ქვეშ გაყვანილი წყალგამტარი არხი; 24. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრაზილიელი ავტომრბოლელი; 25. ნავთობის რაოდენობის საზომი ერთეული; 26. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 27. უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტი, გეგმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ავტობუსი; 2. მონარქი; 3. სვანი; 4. ლოკჰიდი; 5. კაქტუსი; 10. რედერერი; 11. სოციოლოგია; 12. პლანერი; 15. მარგალიტი; 16. ბრიუგე; 17. შეპარდი; 20. დაფნე.

**თარაზულად:** 6. ღვინობისთვე; 7. კომპასი; 8. ფაიზერი; 9. მუთაქა; 13. ბიზე; 14. ჩოხელი; 18. ინტერნეტი; 19. შერპი; 21. სააბი; 22. ბელგია; 23. სინდიკატი; 24. კლიასერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაკაბი; 2. კირხე; 3. ფეიხოა; 4. რეკეტი; 6. ბატისტი; 9. მერლო; 11. დადიანი; 15. განდაგანა; 16. კეხურა; 17. მუკუზანი; 19. ათინათი; 21. ბეზმენი; 22. მარიცა.

**თარაზულად:** 5. ლაგოდეხი; 7. აპალაჩი; 8. სკლერა; 10. კეტჩერი; 12. ტროპი; 13. ლიანა; 14. პოლიგლოტი; 18. ლაიკა; 20. სეგუნი; 23. ბაწარა; 24. ზილი; 25. ჩაროზი; 26. ცინი; 27. ანანური.

# „ჩემი ცოლის დაქალები“ იწყება




ფორმულა კრეატივის გახმაურებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ახალ სეზონს იწყებს.

20 აპრილიდან კვირაში სამი დღე სერიალის მოყვარულებს დაეთმობა. რიგით მე-13 სეზონი სცენარისტების მიერ სიახლეებითა და მოულოდნელობებით არის სავსე. უკვე კარგად ცნობილ პერსონაჟებთან ერთად კვლავ გამოჩნდებიან ძველი პერსონაჟებიც და, რა თქმა უნდა, დაემატებიან ახალი გმირებიც.

მეცამეტე სეზონის პირველი სერიის პრომო ინტერნეტში უკვე გამოჩნდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მას ათასობით ნახვა აქვს.

# ლიკა შუბითიძე შუშანას იცავს




მომღერალი ლიკა შუბითიძე „მხოლოდ ქართულის“ მონაწილე შუშანას იცავს. ლიკა, რომელიც გორიდანაა და ახლა ამერიკაში ცხოვრობს, აცხადებს, რომ შუშანა ძალიან კარგად მღერის.

**ლიკა შუბითიძე:**

– კარგად მინდოდა დამელაგებინა და ისე დამეწერა. არ ვიცი, რა დავალაგე, მაგრამ უნდა დავწერო:

შუშანას ვიცნობ ბავშვობიდან. სახლამდე მაცილებდა ხოლმე სიმღერ-სიმღერით...

შუშანა ძალიან ბევრ ადამიანს უყვარს!

შუშანა ქოლგით არასოდეს მინახავს...

შუშანა მღერის ძალიან კარგად!

მანდ სხვა რაღაცაა...

# გიორგი ყიფშიძეს დეპრესია დაეწყო



მსახიობ გიორგი ყიფშიძეს დეპრესია დაეწყო. ის დახმარებას მეგობრებსა და კოლეგებს სთხოვს:

– მიშველეთ! დეპრესია ჰქვია ამასო და ასეთი უბედური ცხოვრებაში არ ვყოფილვარ, ან ვერ ვხსნი, არ ვიცი, კონკრეტულად რატომ. ასე მგონია, მთელი სამყარო ჩემ წინააღმდეგ არის.

# ენიო მორიკონე საქართველოში კონცერტს გამართავს



ლეგენდარული კომპოზიტორი და დირიჟორი ენიო მორიკონე საქართველოში კონცერტს გამართავს.

მისი კონცერტით „ბლექ სი არენა“ 2018 წლის სეზონს გახსნის. 19 მაისს ის რომის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, „ჩექ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში, კონცერტს „ბლექ სი არენაზე“ გამართავს, რომელიც მაესტროს მოღვაწეობის 60-წლიანი იუბილეს ფარგლებში მიმდინარე მსოფლიო ტურნეს ნაწილია. ტურნეს ყველა კონცერტი ანშლაგით გაიმართა და მაყურებლის მხრიდან – დიდი ოვაციები, ხოლო მედიის მხრიდან დადებითი შეფასებები მიიღო.

აღსანიშნავია, რომ მაესტრო მორიკონე პირადად უდირიჟორებს ორკესტრს. შეკვეთილში მდებარე „ბლექ სი არენაზე“ ის წარდგება რომის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ოპერის გუნდი 70-კაციანი შემადგენლობით.

საქართველოში ლეგენდარული კომპოზიტორი პირველად ჩამოდის. ბილეთების გაყიდვა 20 აპრილს დაიწყება და მისი ფასი 60 ლარიდან იქნება.

# მიშელ უელბეკი და ერლენდ ლუ საქართველოს ეწვევიან



საქართველოს ნორვეგიელი მწერალი ერლენდ ლუ და ფრანგი მწერალი მიშელ უელბეკი ეწვევიან.

მწერლების შეხვედრა საქართველოში მაისსა და ივნისში გაიმართება. სტუმრებს მასპინძლობას თბილისში, დავითგარეჯსა და ყაზბეგში თანამედროვე ქართველი ავტორი არჩილ ქიქოძე გაუწევს. სპეციალურად ორივე ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პრეზიდენტი იურგენ ბოსი ჩამოდის.

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ინიციატივით 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყანა საქართველო 2017 და 2019 წლების საპატიო სტუმარი ქვეყნების საფრანგეთისა და ნორვეგიის მწერლებს უმასპინძლებს.

პროექტი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ისტორიაში წელს პირველად განხორციელდება. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა აღნიშნული პროექტის ტრადიციად ქცევას აპირებს და ბაზრობის პროგრამაში ყოველწლიურ ხასიათს მიაღებინებს.

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიზანია, მსგავსი ინიციატივებითა და პროექტებით ხელი შეუწყოს, ერთი მხრივ, მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში ქართული ლიტერატურის როლისა და მნიშვნელობის გაზრდასა და, მეორე მხრივ, ქართული, ფრანგული და ნორვეგიული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას.

ნორვეგიელი და ფრანგი მწერლები საქართველოს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრისა და მათი ქართული გამომცემლობის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მოწვევით ესტუმრებიან.

ერლენდ ლუ თბილისს 28 მაისს ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში მწერალი ესტუმრება მის ქართულ გამომცემლობას და შეხვედრას გამართავს მკითხველთან წიგნის მაღაზიაში „სანტა ესპერანსა“. 31 მაისს კი გაიმართება პანელდისკუსია, რომელშიც ერლენდ ლუსთან და არჩილ ქიქოძესთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პრეზიდენტი იურგენ ბოსი, ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორი მედეა მეტრეველი და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ბორდის თავმჯდომარის მოადგილე გვანცა ჯობავა.

ერლენდ ლუ ნორვეგიაში ძალიან წარმატებული და აღიარებული მწერალია. მას და მის შემოქმედებას კარგად იცნობენ საქართველოშიც. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ მისი ორი რომანი „დოპლერი“ და „ნაივუ-რი სუპერი“ აქვს გამოცემული. ამ უკანასკნელმა მწერალს განსაკუთრებული აღიარება მოუტანა. წიგნები ქართულ ენაზე ნორვეგიულიდან თამარ კვიჟინაძემ თარგმნა.

მიშელ უელბეკი საქართველოში 23 ივნისს თავის ფრანგ გამომცემელთან ერთად ჩამოდის. ვიზიტის ფარგლებში ის ერთ დიდ შეხვედრას გამართავს მკითხველთან რუსთაველის თეატრში, მეორე შეხვედრაზე კი არჩილ ქიქოძესთან, მედეა მეტრეველთან და იურგენ ბოსთან ერთად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმრის როლზე, გამოწვევებსა და მნიშვნელობაზე ისაუბრებს.

მიშელ უელბეკი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და აღიარებული მწერალია. მისი უკლებლივ ყველა რომანი თარგმნილი და გამოცემულია ქართულ ენაზე.



# მუსიკოსი გიორგი გვარჯალაძე კულტურის სამინისტროს აკრიტიკებს



მუსიკოსი გიორგი გვარჯალაძე კულტურის სამინისტროს აკრიტიკებს და მუსიკალურ სასწავლებლებში ინსტრუმენტების აწყობისკენ მოუწოდებს.

**გიორგი გვარჯალაძე:**

– ვიყავი 9 წლის ნინის პირველ კონცერტზე მუსიკალურ სასწავლებელში ბახტრიონზე. პლასტმასის შეკიდულ ჭერ-კედლიან სააქტო დარბაზში ალაგ-ალაგ ნახევარტონით აშლილ როიალზე უკრავდნენ ბავშვები.

ნეტა რა დაუჯდება სახელმწიფოს, რომ „სახელმწიფო სასწავლებელში“ ინსტრუმენტების აწყობა უზრუნველყოს რეგულარულად? შესაბამისად, დაასაქმოს თავისივე მოქალაქეები, დანიშნოს ხარისხის კონტროლის მექანიზმი, რამეთუ აშლილ ინსტრუმენტზე სწავლება იგივეა, ასოებ-სიტყვებ-შეცვლილ-გამრუდებული სახელმძღვანელოთი რომ ასწავლო ლიტერატურა... ეს მოზარდთა გემოვნების მლაშე/ამჟავებული საკვებით გამოკვებაა, ვითომც არაფერი.

ვინც მუსიკაში ოდნავ მაინც ერკვევით, წარმოიდგინეთ, რომ უკრავ და უცებ რომელიღაც კლავიში სხვა, ჰარმონიაში არმყოფ ნოტს გამოსცემს და, რაც ყველაზე დებილობაა, ამას უნდა შეეჩვიო!

კულტურის სამინისტრო გვაქვს? ნაღდად? ჯაზფესტივალზე სნუპ დოგისა და ფროდიჯის ჩამოყვანა არ არის კულტურის განვითარება. აი, იქიდან იწყება, ზემოთ რაც დავწერე.

# თამთა შედანია „მხოლოდ ქართულის“ წამყვანია



მოდელი და მის საქართველო 2012 მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართულის“ წამყვანი გახდა.

ილო ბეროშვილთან, ნიკა გრიგოლიასთან, თიკა ფაცაციასთან და არჩილ სოლოღაშვილთან ერთად თამთა შედანია პროექტის ერთ-ერთი თანაწამყვანია.

მოდელს კონკურსანტების გულშემატკივრების გააქტიურება და მათი გახალისება ევალება.

– ძალიან ვინერვიულე, როცა პროექტში მონაწილეობა შემომთავაზეს, – განაცხადა მოდელმა და სრული მზადყოფნა გამოთქვა ორშაბათის პირველ პირდაპირ ეთერში სამუშაოდ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# თვითმფრინავის მგზავრი ილუმინატორში გაიჭედა

აშშ-ში ამერიკული ავიაკომპანია Southwest Airlines თვითმფრინავის მგზავრი ჩამსხვრეულ ილუმინატორში გაიჭედა, სადაც ის ჰაერის ნაკადმა შეითრია.

ჯენიფერ რიორდანი მივლინებით ნიუ იორკიდან დალასში მიფრინავდა. ის ფანჯარასთან იჯდა და, როგორც კი თვითმფრინავის ძრავა აფეთქდა, მისმა ნამსხვრევებმა ილუმინატორის მინა ჩაამსხვრია, ქალი წნევის სხვაობის გამო სანახევროდ სალონის გარეთ აღმოჩნდა. დანარჩენი მგზავრები დაუყოვნებლივ შეეცადნენ მის დახმარებას. სალონში მისი მთლიანად შემოყვანა მხოლოდ ორმა მოზრდილმა მამაკაცმა მოახერხა. მათ ქალს ხელოვნური სუნთქვაც ჩაუტარეს.

თვითმფრინავის მგზავრებს სთხოვეს, თავიანთი ადგილები დაეკავებინათ, ღვედები შეეკრათ და ჟანგბადის ნიღბები გაეკეთებინათ. ერთ-ერთმა მათგანმა ავიალაინერიდან პირდაპირი რეპორტაჟის წარმოება დაიწყო.




თვითმფრინავმა ავარიული დაშვება განახორციელა ფილადელფიის აეროპორტში. სამწუხაროდ, რიორდანი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. კიდევ შვიდმა მგზავრმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო. სულ თვითმფრინავში 143 მგზავრი და ეკიპაჟის ხუთი წევრი იმყოფებოდა.

# რეპეტიტორმა გადაწერის „დახვეწილი“ მეთოდი შეიმუშავა და ჩავარდა

სინგაპურში რეპეტიტორს ციხე ემუქრება იმის გამო, რომ ის მოსწავლეებს მისაღებ გამოცდებზე გადაწერაში ეხმარებოდა.

რეპეტიტორი ტან ჟია იანი დამნაშავედ ცნეს იმ ფაქტზე, რომ ის რამდენიმე მოსწავლეს გამოცდის უპატიოსნო გზით ჩაბარებაში ეხმარებოდა. სასამართლომ მათ „უკიდურესად დახვეწილი“ უწოდა: ისინი ერთმანეთს ვიდეოზარით უკავშირდებოდნენ და კანისფერი მიკროყურსაცმებით ურთიერთობდნენ.



სასამართლომ რეპეტიტორს სტუდენტებისთვის უკანონოდ დახმარების 27 შემთხვევა დასდო ბრალად. 32 წლის ქალს სამ წლამდე პატიმრობა და ფულადი ჯარიმა ემუქრება. სასამართლოს წინაშე ასევე წარდგნენ მისი კოლეგები, თუმცა ამჟამად სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას სარეპეტიტორო სააგენტოს მოსწავლეების მშობლებისთვის ფულის დაბრუნების პირობა ჰქონდა მიცემული იმ შემთხვევაში, თუ მათი შვილები ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს ვერ ჩააბარებდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4277 | ევრო — 3.0028 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.449 | 100 რუსული რუბლი — 3.9387 |

## ამინდის პროგნოზი 20 აპრილისთვის





## 3 აპრილიდან

79 ამბავი

ზვიად გამსახურდია




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## 5 აპრილიდან

150 ამბავი

ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## ია ფარულავა თანამშრომლებს ეძებს

მსახიობი ია ფარულავა თანამშრომლებს ეძებს. მან ძველ თბილისში სასტუმრო „ქისი“ გახსნა, სადაც 40 წლამდე ქალბატონებს სამსახურს სთავაზობს.

**ია ფარულავა:**

– ძვირფასო ქალბატონებო 40 წლამდე, ბოდიში, რომ ასაკს ვაკონკრეტებ, ლამაზებო და კეთილშობილებო, ვინც იცით საკმაო ინგლისური და რუსული ისე, რომ თავისუფლად ესაუბროთ სტუმარს, გიყვართ ადამიანები და ხართ ყურადღებიანი და სტუმართმოყვარე, მაშინ გელოდებით სასტუმრო „ქისის“ რეცეფციაში სამუშაოდ. გამოაგზავნეთ მოკლე ინფო თქვენზე, სივი არ მინდა და ფოტო. კომპიუტერი უნდა გესმოდეთ და სასტუმროში მუშაობის გამოცდილება არ მჭირდება. ზედმეტი კითხვები არ დამისვათ.



**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პრინც ჰარის საცოლის წინასაქორწინო დიეტა გაამხილეს

დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლთან დაახლოებულმა ინფორმირებულმა წყარომ პრინც ჰარის საცოლე მეგანი მარკლის წინასაქორწინო დიეტა გაამხილა. ასევე მან იმაზეც ისაუბრა, თუ სად აპირებს წყვილი თაფლობის თვის გატარებას.



ადრე მარკლმა აღიარა, რომ პილატესით არის გატაცებული და ფიგურის შესანარჩუნებლად პრაქტიკულად ყოველდღე ვარჯიშობს. გარდა ამისა, სამეფო სასახლესთან დაახლოებულმა პირებმა განაცხადეს, რომ ყოფილი მსახიობი ველოტრენაჟორსა და სარბენ ბილიკზე დღეში ორი საათი ვარჯიშობს, ერთ საათს დილით და ერთ საათს – საღამოს. ასევე მარკლი აკეთებს ბუქნებს, ავარჯიშებს მუცელსა და ხელის კუნთებს. ვარჯიშის შემდეგ ის საუნაში ისვენებს.

იმავე წყაროს ცნობით, მარკლმა უარი თქვა ალკოჰოლზე და მხოლოდ მინერალურ წყალსა და ბალახეულის ჩაის სვამს. მან პრაქტიკულად მთლიანად ამოიღო რაციონიდან ნახშირწყლები და მხოლოდ ორგანულ ხილსა და ბოსტნეულს იღებს, ასევე – ოსპის წვნიანს.

თაფლობის თვეს წყვილი ნამიბიაში გაატარებს. მათ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი როლი მეორე აფრიკულმა ქვეყანამ – ბოტსვანამ ითამაშა, სადაც მოგზაურობას მათ ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული მომენტი უწოდეს თავიანთ ურთიერთობაში. სავარაუდოდ, მათ ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია მათმა სურვილმა,მორიდებოდნენ გარეშე თვალს. ნამიბია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებ დასახლებულ ქვეყნად ითვლება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



დედამ თავის ქალიშვილს კოსმეტიკური ნაკრები „პატარა ფერია“ უყიდა. სახლში მისულს ქმარი ეკითხება:

– და შენთვის რომელი იყიდე? „გამოცდილი ჯადოქარი“?

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ვან გოგის სურათი 3,5 მილიონ ევროდ იყიდება.

– ძვირფასო, ჩვენც, რომ გაიაფდება, მერე ვიყიდოთ! – უპასუხა ცოლმა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შეგიძლია მითხრა, რა განსხვავებაა მეფესა და სახელმწიფოს მეთაურს შორის?

– მეფემ იცის, რომ თუ ქვეყნის ქონებას გაქურდავს, მის შვილებს აღარაფერი დარჩებათ, ხოლო სახელმწიფოს მეთაურმა იცის, რომ თუ ქვეყნის ქონებას არ გაქურდავს, მის შვილებს არაფერი დარჩებათ.

●●●

ბარმენს კლიენტი ეკითხება:

– დასალევი რა გაქვთ?

– წყალი.

– და მაგარი?

– ყინული.

●●●

გოგო ბიჭს ეუბნება:

– ჩემნაირს ველარც იპოვი.

– შენნაირის მოძებნას არც ვაპირებ.

●●●

ექთანი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ავადმყოფს პულსი არ ესინჯება.

– რას იზამ, გულს ვერ უბრძანებ.

●●●

გოგო ბიჭს საყვედურობს:

– ხომ მპირდებოდი, რომ სიცოცხლის ბოლომდე გეყვარებოდი.

– რა თქმა უნდა, მაგრამ მცირე შესვენებებით.

●●●

მამა თავის მსუქან ქალიშვილს ეუბნება:

– არასწორად იქცევი. ყველა ნორმალური ქალი ჯერ თხოვდება და მერე სუქდება.

– იქნებ არ მინდა ოჯახური ცხოვრების სიცრუით დაწყება!

●●●

ორი სტუდენტი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რას კითხულობ?

– კვანტურ მექანიკას.

– მერე წიგნი თავდაყირა რატომ გიჭირავს?

– და მაგას რა მნიშვნელობა აქვს...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


თან საჩუქარი

## 19 აპრილიდან

120 ამბავი

ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი





## ანდრე გომეში ზაფხულში ბარსელონას დატოვებს



ბარსელონის პორტუგალიელი ნახევარმცველი ანდრე გომეში ზაფხულში გუნდს დატოვებს. ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ მედიაში ვრცელდება.

წელს გომეში ბარსელონაში მეორე სეზონს ატარებს და ის აშკარად ვერ მოერგო კატალონიელთა სათამაშო სტილს, რის გამოც მას ხშირად აკრიტიკებენ.

გომეშს რამდენიმე იტალიური გუნდი ეპატიჟება და, სავარაუდოდ, პორტუგალიელი ნახევარმცველი იტალიაში გადაბარგდება. ერთ-ერთ ინტერვიუში გომეშმა აღიარა, რომ ბარსელონაში მას ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს და ის ვერ აჩვენებს იმ თამაშს, რომელსაც მისგან ელიან.

## უმტიტის სატრანსფერო ფასი 250 მილიონი იქნება



ბარსელონის ცენტრალური მცველის სამუელ უმტიტის სატრანსფერო ფასი 250 მილიონი ევრო გახდება.

ბოლო პერიოდში ხშირად არის საუბრები იმის შესახებ, რომ უმტიტიმ შესაძლოა ბარსელონა დატოვოს და ამიტომ კატალონიურმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ ფრანგი მცველის გამოსასყიდი თანხა გაზარდოს.

უმტიტი მოლაპარაკებებს აწარმოებს ბარსელონის ხელმძღვანელობასთან ხელფასის გაზრდის თაობაზე და, არ არის გამორიცხული, რომ უმტიტიმ ბარსელონიდან წასვლა მოინდომოს, თუმცა ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ბარსელონა უყვარს და კატალონიურ გუნდში ბედნიერია.

## არსენ ვენგერი: „ევროპის ლიგის მოგება შეგვიძლია“

არსენალის მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის ევროპის ლიგა მთავარი პრიორიტეტია და ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს ტურნირი მოიგონ:

– ჩვენ უკვე ნახევარფინალში ვართ და ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ტურნირის მოგება შეგვიძლია, მაგრამ ატლეტიკო ძალიან ძლიერი მეტოქეა და მის წინააღმდეგ თამაში გაგვიჭირდება. თუ ამ ტურნირის მოგება გვინდა, ყველა გუნდი უნდა დავამარცხოთ.

არსენალისა და ატლეტიკოს პირველი შეხვედრა ლონდონში 26 აპრილს გაიმართება.

## ხამესმა რეალთან დაპირისპირებაზე ისაუბრა



მიუნხენის ბაიერნის კოლუმბიელმა ფეხბურთელმა ხამეს როდრიგესმა რეალთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ორივე გუნდს შეუძლია გამარჯვება. ხამესი რეალში 3 წლის განმავლობაში თამაშობდა და ამ გუნდს საკმაოდ კარგად იცნობს.

– რეალთან დაპირისპირება ძალიან რთული იქნება, რადგან ამ გუნდში უამრავი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს. რეალი მარტო რონალდო არ არის და სხვა მოთამაშეები არანაკლებ სახიფათონი არიან, – განაცხადა ხამეს როდრიგესმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკების შედეგების შესახებ; 2. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 3. ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედზე; 4. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში; 5. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 10. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 11. ბაბილონის დედოფალი; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 15. სამფენოვანი მინა; 16. ფულის ერთეული უკრაინაში; 17. ბედიღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 20. კათოლიკური მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში.

**თარაზულად**: 6. სხვისი რწმენისა და აზრების შემწყნარებლობა; 7. სამშენებლო მინერალი, მოსაპირკეთებელი მასალა; 8. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 9. ქართული რადიო; 13. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 14. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 18. სამეფო რეზიდენცია რომში; 19. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 21. ოსური ცეკვა; 22. ისტორიული კუთხე შავი ზღვის სანაპიროზე, ეგრისის სამეფოს ნაწილი; 23. ზღვის სიღრმეების საკვლევი ჰერმეტული კამერა; 24. სახარატო ჩარხის მბრუნავი ლილვი.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*